



საქართველოს პარლამენტი. თბ. „საქარ. რესპ.“, დამატება № 107.

# საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

63 სსდმგა.

პარასკევი, ნოემბრის 22, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი.

მდივნობს პარლამენტის მდივანი დავით ონიაშვილი.

პრეზიდიუმშია პარლამენტის მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია.

კრება იწყება ნაშუადღევს 12<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე.

თავმჯდომარე. პარლამენტის სხდომა გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ დღიურ წესრიგს.

მდივანი. (კითხულობს). კომისიებში გადასაცემი კანონ პროექტები.

1. იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტი მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა სისხლის სამართლის და სამოქალაქო დაწესებულებათა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებში ქვეშედებარეობის ვაფართოვების შესახებ.

გადაეცეს იურიდიულ კომისიას.

2. შრომის მინისტრის კანონ-პროექტი — უქმე დღეების შესახებ.

გადაეცეს შრომისა და სარწმუნოების კომისიათ.

## დღიური წესრიგი.

1. საბალოლო ტექსტი დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულებებისა.

მომხენებელია პარლამენტის წევრი ჩაჟღენ არსენიძე.

2. საბალოლო ტექსტი სამთო სამართლებლოს კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

3. საბალოლო ტექსტი საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დაზარალების კანონისა.

მომხსენებელია იგივე შალვა ამირეჯიბი.

4. საბალოლო ტექსტი სპეკულიაციის კანონის მე-16-ე მუხლისა.

მომხსენებელია შალვა ამირეჯიბი.

5. გაგრძელება მსჯელობისა სკოლაში სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონ-პროექტის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი ლელ ნათაძე.

6. კანონ-პროექტი სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დავით ონიაშვილი.

Handwritten notes in the left margin, including the number '155'.

101 71 კანონ-პროექტი სამკურნალო მანქანის დამონტაჟის, წყლისა და...

ლახენის სახელმწიფო კუთვნილებაში გამოცხადების შესახებ.  
მომხსენებელი პარლამენტის წევრი დავით ანაშვილი.

თავმჯდომარე. ამტკიცებთ ბატონო დღეუ ჟურნალს წინამდებელი  
თავისათვის წერილი და ამტკიცებულ ვრცელ  
პარლამენტის წევრი ბ. არსენიძე.

**საბოლოო ტექსტი დამფუძნებელ კრების ხაარჩევნო დებულებისა.**

ჩუდენ არსენიძე პარლამენტის წევრობი დამფუძნებელ კრების არჩევნე-  
ბის დებულება საქმად დიდია და შესწორება უმეტეს ნაწილად მხოლოდ წმი-  
ნდა გრამატიკული ხასიათისა არის. უმეტეს ნაწილად ვამბობ მე, რადგანაც  
მხოლოდ ზრგინეთ ნაწილს დასჯირდა მტკიცდნო იურცგასწორება, დანარჩენი  
აზრი მკაფიოდ არის გამოხატული ქართულ ენაზე, თუ გნებავთ წავიკითხავ  
არა მთელ დებულებას, რომელიც ბევრ დროს წავგინათვეს და არც ნაყოფიერ-  
რი იქნება, არამედ იმ მუხლებს, რომელშიაც შესწორება არის შეტანილი. მე  
გგონია საქმისთვის უფრო სწრაფგზლო იქნება და თითონვე წინის აზრს და  
შინაზრს არაფრით არ შესცვლის. (კითხულობს)

**დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა.**

დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრთა არჩეულთ მცხოვრებლების მი-  
ერ საყოველთაო — განუარჩევლად სქესისა — თანასწორის, აბრდაბრისა და ფარუ-  
ლი ხმის მიხედვით მტრდორ კულუ წარმომადგენლობის საფუძველზე.

ჩვენ შევცვალეთ ასე: 1. დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრნი, არჩე-  
ული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო — განუარჩევლად სქესისა — თანასწორის,  
პარდაპარის და ფარულის ხმის მიხედვით მტრდორ კულუ წარმომადგენლობის  
შესისამებრ.

მეორე მუხლი. წინ დასეთი იყო ტექსტი. (კითხულობს) დამფუძნებელ  
კრების არჩევნების საწარმოებლად მოსდება რესპუბლიკის ერთი საარჩევნო  
ოლქი. დამფუძნებელ წევრთა რიცხვი იქნება ასე ოცდა ათი, არჩევნებზე ხმის  
მისაცემად რესპუბლიკა იყოფა საარჩევნო უბნებად. 1  
მე გგონია სტავა საქართველოს რესპუბლიკა შედგებია, და ამიტომ გა-  
მოვაკლებთ აზრი უფრო მკაფიოდ არის, ასეთია მეორე მუხლი.

**თავი II. საარჩევნო ტექსტისა.**

მუხლი მესამე. (კითხულობს) დამფუძნებელ კრებას არჩევნებში მონაწი-  
ლეობის უფლება აქვთ არჩევნებზე ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ შთ არ-  
ჩევნების დღისათვის ცხრამეტი წინდე ამარულდნათ. ხუთიქმქმნომ  
აქ არის შესწორებული იყო 19 წელსა, ახლა არას 20-სა  
მიღებული შესწორება. 3. დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეო-  
ბის უფლება აქვს არჩევნებზე ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების  
დღისათვის იქნა წინდე შესწორებულია, ჩვეულებრივად არაა ჩარცხულს აქვს  
მხოლოდ პასუხი საარჩევნო უფლება.  
მუხლი მეოთხე. წინდე იყო (კითხულობს) არჩევნებში მონაწილეობის უფლება

ნაწილდობაში, ჩინოვნიკი მიერ მიღებული წესისამებრ გვიგადან ქვეზედ მუშაობის (ნაწილდობა) აღიარებულია აგრეთვე ქვეზედ მუშაობის სხვისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება.

ჩვენ შევივალეთ (კოთხულობს) 4. არჩიენერ მიერ მიღებულ ვერ მიღებულს, ხუთი წინაინიერის წესით გვიგადან ქვეზედ მუშაობის გამოცხადებულს, აგრეთვე ყოველმხარე თუ ისინი სხვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. — ჩვენ

წინადაც ვინც გვიგადან ქვეზედ მუშაობადად არის აღიარებული — ჩვენ აღიარებულია მიერ ვინაირთა გამოცხადებული, ვადგან სასამართლოს დადგენილებით დადგება. — ჩვენ

მუხლი მიუხედავად (კოთხულობს) საარჩიენო უფლება ჩამორთმევათ: 1) სასამართლოს მიერ სასჯელ მისჯილთ, თუ განჩინებ ძალიან შესული და თუ მათი მიერ უფლებები არ დაბრუნებით: ა) კატორღა მისჯილთ სასჯელის მიხედვით შემდეგ ათის წლის გასვლამდე; ბ) ვინაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსალო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსალო ან ციხე მდგომარეობის უფლებების ჩამორთმევით ანუ შეზღუდვით, სასჯელის მიხედვით შემდეგ ხუთის წლის გასვლამდე.

ჩვენ შევივალეთ (კოთხულობს). 5. საარჩიენო უფლება არის აქვთ.

1) ვინაც სასამართლოს მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთეს განჩინებულსა შესული და თუ ახალი უფლება არ დაბრუნებით: ა) კატორღა მისჯილთ სასჯელის მიხედვით შემდეგ ათის წლის გასვლამდე; ბ) ვინაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსალო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსალო ან ციხე მდგომარეობის უფლებების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მიხედვით შემდეგ ხუთის წლის გასვლამდე.

წინადაც არსებული უფლება. ჩვენ დაუსწორეთ: ახალი უფლებების მიერ პუნქტი ამავე მუხლისა იყო ახეთი ტექსტი. 2) დასჯილი კატორღისთვის, გარდა იმისა, რომელიც განსჯილის წინაშეა 28 სასჯელთა წესდების მე-171 მუხ. მე-2 პუნქტ. მიერ, რომელთაც მომრიგებელი მოსამართლენი მუხსა 1914 წელს დასჯილთ წინაშე იმყოფებოდნენ.

წინადაც ვინაირთა მითვისებისა ან გაფლანგვის, რომელიც გათვლის მიხედვით წინაშეა წესდებში მე-171 მუხ. მიერ ნაწილისა და სხისა წინაშეა აღიარებულია და განსჯილთა სასჯელთა დეპუტების მე-1681 მუხლის მიერ წინაშეა აღიარებულია (1912 წ. გაგამ.) შემდეგ (ვინაირთა XV) მდებარეობისა და მათისათვის, ვინც განსჯილთა წინაშეა აღიარებულია ან გიროდ რეუბინათვის ისტორიის სტელობად და მის შესახებ, სეკალბისათვის (подлоги), მეგასეობისა, ქრთამის აღებისა, იმ ქრთამის მისწრაფებისა და აგრეთვე მათსა და მათისათვის (დასჯილთა) და განსჯილთა მითვისებისათვის ხელის შეწყობისათვის (ვინაირთა XV სისხლ. სამკოდექს. 1909 წ. მუხ. 524, 526, 527, და 529), და აგრეთვე ისეთ მოქმედებისათვის, რომელთა მიზანი იყო საკანონდებლო და წესდებულზეა ან თვითმართველობისათვის ან რჩინების თვითმართვით და სასჯილის დარღვევა — საშის წლის გასვლამდე და იმისა, სასჯელის მიხედვით თვითმართვით იმისა და

ჩვენ გადავაცეთ თითო ამ გვარად: 2) დასჯილთა კატორღისათვის, გარდა ამისა რომელიც ვინაირთა წინაშეა აღიარებულია მე-171 მუხ. მიერ პუნქტით სასჯილთა წესდებისა, რომელთაც მომრიგებელი მოსამართლენი (ვინაირთა XV) გამასწორებელი სატუსალო განყოფილებისა და სასჯილის მიხედვით მითვისების, ან გაფლანგვისათვის, გათვალისწინებულია, რომელიც გათვალისწინებულია

იმავე წესდების მე-177-ე მუხ. მეორე ნაწილთა და სისხლის სამართლის და გასწორებულ სასჯელთა დებულების მე-1681-ე მუხლის მეორე ნაწილთ (1912 წ. ვაგრძ. კან. კრებ. ტ. XV), მოპარულის დამალვისათვის, განზრახ, მოპარულის ყიდვის, ან გიროდ მიღებისათვის. ვისაც ეს ხელობად აქვს გადაქცეული, სოცალბისათვის, შევანშეობის, ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემისათვის და აგრეთვე სიძვის შეაშავლობისათვის და გარყვნილების ხელის შეწყობისათვის (კან. კრებული ტ. XV სისხ. სამ. დებ. გან. 1909 წ., მუხლი 514—526, 526—627 და 529), აგრეთვე ისეთი მოქმედებისათვის, რომლის მიზანიც იყო საკანონმდებლო დაწესებულებათა ან თვითმართველობათა ორგანოთა არჩევნების თავისუფლების და სისწორის დარღვევა, —სამი წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა;

სიტყვა **გამძლელო** ჩვენ შევცვალეთ სიტყვით: **ხელმძღვანელი**, და მივიღეთ ამგვარად: დამფუძნებელი კრების არჩევნების წარმოების ხელმძღვანელი დაწესებულებანი. მუხლი მეცხრე, არჩევნების წარმოების გამგებლობა დაევალება: რესპუბლიკის ცენტრალურსა, საოლქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს.

სიტყვა **ეკისრება** შევცვალეთ სიტყვით **დაევალება**. სხვა ცვლილება არაფერი არ არის შეტანილი.

აგრეთვე შესწორებლად არის მიღებული **შენიშვნა** ამ მუხლისა.

შეათე მუხლი. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამოირჩევს საქართველოს პარლამენტი ოცდამეერთი კაცისაგან. კომისია ამოირჩევს თავის წრიდან თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამახანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

ცენტრალურ კომისიაში წევრის სრულის უფლებით დღიდან კომისიის მიერ საკანდიდატო სიის მიღებისა შედის თითო წარმომადგენელი იმ პოლიტიკური პარტიის, ან ჯგუფისა, რომელიც საკანდიდატო სიას წარმოადგენს.

ამ მუხლში შეტანილია შესწორება თანახმად პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებასა.

დანარჩენი ნაწილები ამ მუხლისა მხოლოდ გრამატიკულად არის შესწორებული. **შეთერთმეტე მუხლი**. ტექსტი იყო შემდეგი. (კითხულობს) რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ევალება: 1) საერთო თვალყურის გდება დამფუძნებელ კრების არჩევნების მსვლელობაში და შემუშავება არჩევნების დასაჩქარებელი ზომებისა. ჩვენ მივიღეთ (კითხულობს) 11. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალება: 1) საერთო თვალყურის დევნება დამფუძნებელი კრების არჩევნების მსვლელობისათვის და შემუშავება არჩევნების დასაჩქარებელი ზომებისა.

დანარჩენში გარდა გრამატიკული შესწორებისა არავითარი ცვლილება არ არის მიღებული.

**შეთორმეტე მუხლი**. შესწორებულია თანახმად მიღებულ შესწორებისა (კითხულობს) სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს ერობის გამგეობა, ხოლო სადაც ერობა შემოღებული არაა, სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

სამაზრო კომისია ამოირჩევს თავმჯდომარეს, მის ამახანაგს, ხაზინადარსა და მდივანს.

სამაზრო კომისიაში წევრის სრული უფლებით შედის თითო წარმომადგენელი თვითველი იმ პოლიტიკური პარტიის, ან ჯგუფისა, რომელსაც საკანდი-

დატო სია წარუდგენია, ცენტრალურ კომისიის მიერ საკანდიდატო სიის შიღვის დღიდან.

ასეთი ტექსტია მიღებული პარლამენტის მიერ და ამგვარადვე მივიღეთ ჩვენც. ამ მუხლში გრამატიკულ შესწორების მეტი არ არის არაფერი შეტანილი. მეცამეტე მუხლში მხოლოდ გრამატიკული შესწორება არის.

აგრეთვე მეთოთხმეტე, მეხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეოთხმეტე, მეცხრამეტეში. მეოცეში შეტანილია შემდეგი შესწორება; მიღებული იყო ასე: შაშენიკები. ჩვენ შევასწორეთ ქართულად, ვინაიდან მაშენიკი შანტაქისტის ერთი არის და საგვებით გამოხატავს იმავე მცნებას, ამიტომ ჩვენ ეს სიტყვა შევცვალეთ: დატყუებისთვის დასჯილთ.

გაფლანგვა, მოპარვა, ესე იგი აქ სუბიექტიური შეხედულება იყო შეტანილი გარდა ობიექტიური თვისებისა, რომელიც კანონში არის ჩვენ გადავასწორეთ: ვისაც ეს ხელობა აქვს გადაქეუული.

შემდეგ არის მაჰანკლობა, მაგრამ ეს სიტყვა ქართულში სხვანაირად იხმარება ჩვენ ვიფიქრეთ, რომ უფრო მკაფიოდ გამოხატავს აზრს, თუ ვინხართ ისე, როგორც შევცვალეთ: სიძვის შუამავლობისათვის და გარყვნილების ხელის შეწყობისათვის. უცვლელად არის მიღებული მესამე პუნქტი ამავე მუხლისა, რომელიც აქ შეტანილია. პუნქტი მიღებულია ამავე ტექსტით, რომელიც მიიღო იურიდიულმა კომისიამ.

მეოთხე მუხლი უცვლელადაა მიღებული.

მეხუთე უცვლელად არის მიღებული.

მეთექვსე უცვლელად არის მიღებული.

მეშვიდე მუხლში მივიღეთ ამგვარად. არჩეული შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც არაა შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს.

თანხმად იმ შესწორებისა, რომელიც პარლამენტის მიერ იქნა მიღებული მუხლი მეორე განიციდას მხოლოდ გრამატიკულ შესწორებას. თუ ნებას მიბოძებთ არ წავიკითხავ.

თავი მესამე. დამფუძნებელ კრების არჩევნების წარმოების გამძლეობა დაწესებულებანი.

4. არსენიძე (კითხულობს) 20. წვრილ სასოფლო-საარჩევნო კომისიის მოაწყობს სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია, სამაზრო კომისიის ხელმძღვანელობითა და ჩვენებით ხუთის წევრისაგან, რომელიც სდგება თანახმად დარჩენ კომისიების მოწყობის პრინციპისა. ამ კომისიის სამოქმედო სივრცე არ უნდა აღემატებოდეს ორ სამ ვერსიან რადიუსის სივრცეს.

ვინაიდან რადიუსი ისეთი მცნებაა, რომ მას სივრცე არა აქვს უნდა ავიღოთ ეს რადიუსი ცენტრიდან პერიფერიაშიღე და ამიტომ ჩვენ შევცვალეთ ეს პუნქტი შემდეგნაირად. 20. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიის მოაწყობს სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია სამაზრო კომისიის ხელმძღვანელობით და ჩვენებით ხუთის წევრისაგან, რომელიც შესდგება თანხმად დანარჩენი კომისიების მოწყობის პრინციპისა. ამ კომისიის სამოქმედო რაიონი არ უნდა აღემატებოდეს ორ-სამ ვერსიანი რადიუსის მქონე სივრცეს.

დანარჩენ ნაწილში ამ მუხლისა მხოლოდ გრამატიკული შესწორება არის შეტანილი.

მე-21 მუხლი ამგვარად არის მიღებული. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიის დაევალება 1) ყოველ მხრივი დანხარება ამომრჩეველთა ამწერლებსა; 2) დროიანად მიღება სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიისგან სა-

არჩევნო მასალის და მასაჩვენო ერთეუბისა; 3) დათვლილ მეთოდსა ამოღებულ ერთეუ  
კონკრეტებისა (გაუხსნელად) და მათი რაოდენობის შეფარდება ხმის ნიშნებშია. ყვე  
რაოდენობასთან და შემთხვევით სარჩევნო წარმართების შეფარდების სასარგებლოდ  
კომისიისი გადაცემა.

მე-22 მუხლში შეტანილია ცვლილება თანახმად პარლამენტის მიერ მე-  
ტანილ ცვლილებასა და იმის დადგენაზე დადგინდნ ცვლილებად ცვლილება  
მე-23, 24, 25 და 26 მუხლებში არის მხოლოდ გრამატიკული ხასიათისი ცი  
ცვლილებანი. ნება შიბოშეთ არ წაგვიკითხო.

მე-27, 28 და 29 მუხლებში შეტანილია მხოლოდ გრამატიკული ცვლილებები.

მე-30 მუხლში შესწორება არის შეტანილი ძველი ტექსტი ასეთია: ვინც ტო  
საარჩევნო უბანში სიუბის შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდებოდა შეი  
ლება შეტანილ მუხას სიუბის მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ შიბოშთ შეიტანს იუ  
შესათურ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიისა ასეთი განცხადება შესაძვე  
ნილ უნდა იქნეს იმ დროის განმავლობაში, საშამ მიკვს-დგენენ და განვიღობ  
ბაში ნუთი დღისა დრიდან შემდეგ საქვეყნოდ გამოცხადებასა იმ განცხადებასი  
თან ერთად უნდა განცხადებულ იქნას რომ იღანა გამოირიცხება წინანდელსა  
ცხოვრებულ ადვოკატი შემდგარ სიიდან და ასეთი განცხადებები ვაგზავნება დაუწ  
ნიშნულგზამებზე. რატომღაც იგიან ითვლებენ იტყვენ ითიმიც წი კილებორ

ჩვენ გადავაკეთეთ შემდეგნაირად: ვინც საარჩევნო უბანში სხიბდა შემდეგო  
ნის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, შეიძლება შეტანილ უქნეს იხიში მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, თუ თითონ წარუდგენს შესაბუნ განცხადებას უბნის საარჩევ  
ნო კომისიას. ასეთი განცხადება შეიძლება წარუდგინოს იქნეს დღის განმავლობ  
ბაში სიუბის გამოქვეყნებდან. ასეთ განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებულ  
იქნეს იხიში რომ შიბოშებულ ამირშალოსა წინანდელს ცხოვრებულ ადვოკასი  
შემდგარ სიიდან; ასეთი განცხადება ვაგზავნება დანიშნულგზამებზე იხი  
მხოლოდ

შესწორებას არის შეტანილი მე-31 მუხლში თანახმად პარლამენტის მიერ  
მიღებულ ცვლილებასა. 31 საარჩევნო სიიში აღიღანა შენება ცვლილება მუხ  
თუ თუთული ამოშჩევლისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, იეროვნება, სარტორ  
წიწნა, ნებისა და წიწნა და სხვა სხვა მუხებზე და იხიში აღიღანა რედაქციონისა,  
სად იყო მიწერილი 1914 წ. ივლისს 19-დე ძველი სტილით. გუბრება იხიში  
თუქლ საარჩევნო უბანში ანბანის წესსზე უნდა იქნას შემოწვილი იხიში

ეს დაიბადა სარედაქციო კომისიისა ერთნაირი ვაგზავნობა: ჩვენ ამ მუხლ  
ლი მივიღეთ რადაც შენიშვნა, მაგრამ არ ვაგზავნი შენიშვნა, მაგრამ სარჩევნ  
დაქციო კომისიისა არავითარი წერილობითი ცნობა შექმნა. მიჩვენო ვიკიტობ  
მხოლოდ, რომ სახელს დამამის ნაწილს და ვაგზავნებულს სარედაქციო უნდა იხიში  
ტებრდა ეს ხნ თიმი მუხლში უნდა შესულობო, ხან უნდა შენიშვნა მიწერილი  
ყოფის წარმოადგენს პარლამენტის ცვლილებას. იხიში აღიღანა შენიშვნა განცხადებ  
შემდეგის შირდაპირ უნდა წესსა პარლამენტის მიერ შირდაპირ და შენიშვნა  
ასეთი წესსა პარლამენტისა იხიში უნდა გაიხიბოს, ყველას ცვლილებათქვე  
მანტება უნდა იყო. პარლამენტისა რეგლამენტის თანახმად წარმოიგენოლო წი  
რილობით; და წერილობით ეს უნდა გადაეცეს თითონ თავიჯდომისა ბრუნებ  
ჯ დომარემ უნდა გამოაჩვენოს და შემდეგ მისცეს სახელს სათი შესწორებებზე  
აქტორებს ჩვენი კომიტება წინანდელგონ და აქტონი იხიში უნდა მუხებზე  
როდესაც სარედაქციო კომისიის ვერ გამოუტანა თავისი საუთარითა მანტ  
თიბოშებო ორნაირი გამოდის ტობრუნება და ანბანისა შემოწვილი შექმნება,  
ცვლილება, დამატება და ვინ ყრდარისა ასეთი შირდაპირ შექმნა ეს სტილით შიბოშ  
მათ შირდაპირელომ მსარედაქციო კომისიას არ შეუძლიან განდებობო (შესა)

რომ წარადგინა ხელში შენაწილი, როგორც პარლამენტის წევრს არ შეეძლო განაწილა მავალითად იყო ასეთი შეპყრობა შეტანილი, თითონ პარლამენტმა დაადგინა, ასე რომ კომისიის დასრულება შეუძლებელი იქნებოდა, ვინ უნდა აირჩიოს — ეს თვით პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ეს ასობა არ ყოფილა, შესაძლებელი შეტანილი. მიიძინე იმედი, რომ ვადავალდებულ ვარ, რომ ვადავალდებულ ვარ შევადგინო.

რომ გაუგებრობა არ იყოს და სარედაქციო კომისიას არ მოუხდეს ოქმით-ოქმითობა, ასევე იგივე ანგარიშებიდან ძებნა, ანუ ნამდვილად არსებდეს იყო ლაპარაკი პარლამენტში, საჭირო არის, ვიმეორებ, ყველა შესწორება იყოს (იქ) შეტანილი, წინააღმდეგობა შეტანილი და შემიძლება სიტყვა მივიტოვო. მა-  
 თომ იმ შემთხვევაში, რაშიც, რაშიც წინააღმდეგობა განხილვების შეტანს და წინააღმდეგობით  
 თითუ უნდა განვიხილოთ, ვინაა იმ სიტყვა შეტანის შემთხვევაში, ლაპარაკი, თუ არ დავადგით ამ  
 იმის განხილვის შესაძლებლობა, არ შეგვიძლება ყველა მუხლის შესწორება, სარედაქციო  
 უწყის კომისიის მიერ და შესაძლებელია მდგომარეობაში, თავადვე და ვერაფერს დროს ვერ  
 შესძლებს წარმოადგინოს ამდენი ტექსტი, ნამდვილად შეუძლებელი პარ-

ლამენტის მიერ. ამ (პარლამენტის) ანგარიშები თვითშეადგენს პირ-  
 მათობაში, ანუ განხილვები მიუხედავად იმისა, რომ იმის მიხედვით იგი შე-  
 ითუბს იმის შესახებ თუ ვინაა, ჩვენის მიერ სარედაქციო კომისიის აზრით, ასეთი  
 არა იმის შესახებ შეატყობს, ჩვენთვის, იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც აქ არის შე-  
 ნილი. ამიტომ უნდა იქნას დადგინდეს უწყისობა, რომ სიტყვა მიიღებოდა იმის შესახებ

**თავმჯდომარე, სიტყვა ეკუთვნის რევან გაბაშვილს**

რევან გაბაშვილი (დამხმარე დეპუტატი) შეგნებთა რევამენტის დარღვე-  
 ებდნ წესს, ჩვენს მხარეს სიტყვა, რომ მიხატონი ჩვენდნ სჯილლობს, რომ ჩვენს დარღვეს  
 იყო ასეთი  
 რევამენტის დარღვევა აქ მოხდა რევამენტის დარღვევა, ანუ პირველად უნ-  
 მომდებარა შენაწილის და არა პარლამენტის, იქნა იმის მიხედვით, რომელიც  
 გოთივე პირველი პარლამენტის დარღვევა, რომელიც იმის მიხედვით, რომელიც  
 გოლო, რაც შეგნებთა შენაწილს, უნდა მოგახსენებთ, რომ შენაწილად  
 ასეთი შესწორება შეიძლება, შენაწილის სახით თუ სხვაგვარად ამას შეიშენლობა  
 არა აქვს. მიიშენლობს ვადაშვილს შეც და პარლამენტის ამას, რომ იქნა გარ-  
 კვეთულად ნათქვამი, რომ ამოსარჩევი პირი და ამომრჩეველი უნდა იყოს დასა-  
 ხელმძღვანელი სახელით და გვარით, და შეიძლება შეიძლება დამხმარე მერი სახე-  
 ლი (ეს შენაწილის იქნება თუ შევა თითონ მუხლის, მაშას შინა და მიიწი-  
 დელი მიიშენლობა არა აქვს, მხოლოდ ვადაშვილად უნდა იქნას ეს ნათქვამი,  
 ასეთი იყო მდგომარეობა.

**თავმჯდომარე, სიტყვა ეკუთვნის შობისენიელს**

თავმჯდომარე, სიტყვა ეკუთვნის შობისენიელს.  
 ცხობილი არსებობდა, რომ უნდა მოგახსენებთ, რომ რევამენტის შესწორების შემომ-  
 თე პირველი თავი, სიტყვა მიხატონი, რომელიც უნდა გამოითქვას ასობა, ან არ  
 მდგომარეობს, ტექსტის სარედაქციო კომისიას არ შეუძლია არც ვადაშვილის აზრის  
 გამოთქმა, არც რევან გაბაშვილის აზრის გამოყენება. სარედაქციო კომისიას  
 თითქმის შესაძლებელია არ მიიღოს და სურვილებსა და გამოთქმული აზრის გა-  
 მოყენება ჩვენ უბრაულოდ მივიჩნიეთ. არ ვიცი, როგორ მივიღოთ, დავტო-  
 ვოთ იმ სახით, როგორც პარლამენტის მიერ არის შეტანილი, თუ იმ სახით,  
 რომელიც უნდა არა წარმოადგინო, ასე იგი არ ვიცი, რომელიც ტექსტი პარლა-  
 მენტს აკმაყოფილებს ამ სახით, როგორც არის წარმოადგენილი სარედაქციო  
 კომისიის მიერ თუ არა იმის მიხედვით დამტკიცება თუ არა, აქ არის ეს (კო-  
 მისიონობა) 31, საარჩევნო საშუალო აღნიშნება გვარი, მერი სახელი თვითთული  
 ამომრჩეველისა, სახელი, შინის სახელი, სოლოვანობა, ერთგვანადა სარწმუნოება  
 მისი თუ არა ვერაფერს ვიცი, რა სიტყვა ვადაშვილია, რა ნეოლოზია, სად იყო  
 იმის მიხედვით, რომ იმის მიხედვით, რომელიც უნდა იქნას დადგინდეს

მიწერილი 1914 წ. ივლისის 19-დღ ძველი სტილით. გვარები თვითნებულ საბრ-  
ჩვენო უბანში ანბანის წესზე უნდა იყოს ჩაწერილი.

**თავმჯდომარე.** აზრი ისეთი იყო, რომ სიტყვა ან გამოიტოვოს (ხმა: ეს  
გამოტოვოლი არის), მაშასადამე, საჭირო არ არის შესწორება. პარლამენტი  
იღებს ამ პუნქტს ისე, როგორც აქ წარმოდგენილია სარედაქციო კომისიის  
მიერ. გთხოვთ განავრძოთ.

**რ. არხენიძე.** მე-32-ტე, მე-33 ტე მუხლში მართო გრამატიკული შესწო-  
რება არის.

მე-34-ე მუხლში რამდენიმე შესწორებაა შეტანილი ტექსტში იყო: (კით-  
ხულობს) ხსენებულ კომისიებს შეუძლიანთ დააკმაყოფილონ: 1) საჩივრები სია-  
ში მომჩივანთა შეუტანლობაზე, თუ ეს საჩივრები შემოტანილია ხუთის დღით  
ადრე მე-30 მუხლში აღნიშნული ვადის გათავებისა და 2) საჩივრები მომჩი-  
ვანთა შესახებ არა სწორი ცნობების შეტანაზე საარჩევნო სიებში აღნიშნულ  
საჩივართა დაკმაყოფილებას მომჩივანთ ატყობინებენ.

ჩვენ შევასწორეთ ამგვარად: (კითხულობს) 34. ხსენებულ კომისიებს შე-  
უძლიანთ დააკმაყოფილონ; 1) საჩივრები სიაში მომჩივანთა შეუტანლობისა,  
თუ ეს საჩივრები აღძრულია ხუთის დღით წინ მე-30-ე მუხლში აღნიშნული  
ვადის გათავებამდე და 2) საჩივრები მომჩივანებისა საარჩევნო სიებში არა  
სწორი ცნობების შეტანის გამო. აღნიშნულ საჩივართა დაკმაყოფილებას მომ-  
ჩივანთ ატყობინებენ.

**ალ. ლომთათიძე.** ნება მომეცით ამ მუხლის პირველ ნაწილის შესახებ.  
მოქალაქენო, მე ვიცავ პირველ ტერმინს, იმიტომ, რომ აღძრულისა და შეტა-  
ნილის შორის განსხვავება არის. ჩვენ გვინდოდა სწორედ ასეთი ფიქსაცია  
მიგვეცა, შეიძლება საჩივარი ადრე აღძრან, სიტყვიერად, მაგრამ არ შეიტანონ  
წერილობით. მე მგონია პირველი ტერმინი უფრო გამოხატავს აზრს, ვიდრე  
ის, რომელიც შემოტანილი არის სარედაქციო კომისიის მიერ. მე მგონია უმ-  
ჯობესია ეს დარჩეს, ვიდრე ის ცვლილება, რომელიც შემოუტანია სარედაქ-  
ციო კომისიას.

**თავმჯდომარე.** მომხსენებელი.

**რ. არხენიძე.** ჩვენ ვიცით, რომ ამრჩეველს შეუძლიან საჩივარი ან სი-  
ტყვიით განაცხადოს ან საჩივარი წერილობით ქალაღზე შეიტანოს, მაშინ ეს  
მომენტი განცხადებისა ითვლება საჩივრის დაწყებათ; ამიტომ საჩივარი, შეტა-  
ნალი ქალაღზე ითვლება საჩივრის დაწყება. ხოლო სიტყვიერად შეტანილი  
საჩივარი არ ითვლება საჩივრის დაწყებად. ამიტომ ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა  
აღიძრან, შეტანის მაგივრად. ის მომენტი, რომელზედაც ლომთათიძე აშპობს  
არის სავესებით დაცული, იურიდიული აქტად პირველ აქტად საჩივრის და-  
წყებისა არ ჩაითვლება პირადი განცხადება თუ არ იქნება სათანადო ალაგას  
შეტანილი.

ტერმინი „აღიძრა“ უფრო უკეთ გამოხატავს იმ აზრს, რომელიც უნდოდა  
კანონმდებელს.

**თავმჯდომარე.** კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე, რომ დარჩეს ისე, რო-  
გორც წარმოდგენილია სარედაქციო კომისიის მიერ? შესწორებული ტექსტი  
მიღებული.

მე-35 მუხლი უცვლელად არის მიღებული.

მე-36 მუხლი შეტანილი არის რამდენიმე ცვლილება. აქ წინად იყო: (კი-  
თხულობს) არა უგვიანეს სამი დღისა მეოცდაათე მუხლში აღნიშნულ ვადის  
გათავებამდე საყოველთაოდ ცხადდება დამატებითი საარჩევნო სია, რომელში-





აც შეაქვთ მხოლოდ: 1) ისინი, ვინც აღნიშნულია მეოცდაათე მუხლში, ვისი განცხადება სიაში თავის დროზე შეუტანლობაზე დაკმაყოფილებულია, 2) ისინი, ვინც აღნიშნულია მე-34 მუხლში და ისინი, ვინც დაუკმაყოფილებიათ სათანადო კომისიებს.

დამატებითი საარჩევნო სიას შეადგენენ თანახმად მე-29 მუხლში აღნიშნული წესებისა.

შევეცდეთ ამნაირად: არა უგვიანეს სამის დღესა მეოცდაათე მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს დამატებითი საარჩევნო სია, სადაც შეტანილი იქნება მხოლოდ: 1) ის, ვინც აღნიშნულია მეოცდაათე მუხლში, ვისი განცხადებაც სიაში თავის დროზე შეუტანლობისა დაკმაყოფილებულია; 2) ის, ვინც აღნიშნულია მე-34 მუხლში და ის, ვინც დაუკმაყოფილებია სათანადო კომისიას.

დამატებითი საარჩევნო სიას შეადგენენ თანახმად მეოცდაცხრე მუხლში აღნიშნული წესებისა.

**საშ. დადიანი.** მე წინადადება შემომაქვს „საყოველთაოს“ მაგივრად იყო საქვეყნო.

**მომხსენებელი.** არის წინადადება, რომ საყოველთაოს მაგივრად იყოს საქვეყნო. მე პირადად ამ წინადადებას ვიცავ და ვალიარებ, რომ საყოველთაოდ უნდა დარჩეს.

მე-37 მუხლი თითქმის უცვლელად არის დატოვებული გარდა გრამატიკულ შესწორებისა. წინად იყო: (კითხულობს) პროტესტები და საჩივრები დამატებით, სიების შესახებ გაიგზავნებიან მე-33 და 35 მუხლების წესით მე-33 მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე.

ეხლა არის: (კითხულობს) პროტესტები და საჩივრები დამატებით სიების გამო გაიგზავნებიან მე-33 და 35 მუხლების წესით მე-33 მუხლში აღნიშნულ ვადის გათავებამდე.

**მე-38-ტე მუხლი.** წინათ იყო (კითხულობს): პროტესტებს და საჩივრებს ცენტრალური კომისია იხილავს ხუთის დღის განმავლობაში, ღია კარებში, საადმინისტრაციო მოსამართლეების მიერ შემოღებულ წესით თანახმად სადმინისტრაციო სასამართლოების დებულებისა (დაკან. კრებ. 1917 წ. მუხ. მე-629). საქმის გარჩევაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ პროტესტი, ან საჩივრის შემოტანისა და განსაჩივრებულ სიის შემდგენელ კომისიის წარმომადგენელთა გარდა აგრეთვე იმათაც, ვის საარჩევნო უფლებაზეც დავაა.

ჩვენ შევასწორეთ ასე: პროტესტებს და საჩივრებს ცენტრალური კომისია იხილავს ხუთის დღის განმავლობაში, საჯაროდ, საადმინისტრაციო, მოსამართლეთათვის მიღებულ წესის თანახმად სადმინისტრაციო სასამართლოების დებულებისა (დაკან. კრებ. 1917 წ. მუხ. მე-629-ე). საქმის გარჩევაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ პროტესტის, ან საჩივრის შემოტანისას და განსაჩივრებული სიის შემდგენელი კომისიის წარმომადგენელთა გარდა აგრეთვე იმათაც, ვისი საარჩევნო უფლების გამო დავა წარმოებს.

მე-39 მუხ. შეტანილია შემდგი შესწორებები წინად იყო: (კითხულობს) ცენტრალურ კომისიის გადაწყვეტილებაზე შეიძლება პროტესტის და საჩივრის გადატანა საოლქო სასამართლოს სადმინისტრაციო განყოფილებაში ათის დღის განმავლობაში და ასეთი პროტესტების და საჩივრების მიცემა საარჩევნო წარმოებას არ აჩერებს.

39. ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება პროსაქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქმარ. რესპ.“ დამატება № 108.

ტესტის და საჩივრის გადატანა საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში ათის დღის განმავლობაში; ასეთი პროტესტების და საჩივრების აღძვრა საარჩევნო წარმოებას ვერ შეაჩერებს.

**აკაკი ფაღავა.** აქ სწერია: ათი დღის განმავლობაში, მაგრამ არ სჩანს, საიდან ითვლება ეს ათი დღე. უნდა იყოს აღნიშნული თუ საიდან იწყება.

**მიმხსენებელი.** თვითონ ამ მუხლიდან არ სჩანს, და სარედაქციო კომისიას არაფერი არ შეუძლიან აღნიშნოს იმის მეტი, რაც რედაქციის მიერ ტექსტში არის და მიღებულია კანონში. ჩვენ ტექსტში შევასწორეთ მხოლოდ რედაქციის მხრივ. ამ საკითხს უფრო იურიდიული მნიშვნელობა აქვს და ეს სარედაქციო საქმეს არ ეხება. ან მთავრობა, ან საპარლამენტო კომისია გააქვეყნენ ამ კითხვას, რომელიც აღძრული არის, — სარედაქციო კომისიას მინდობილი აქვს ბუნდოვან ტერმინის გამოკვლევა და გაშუქება. ეს სარედაქციო კომისიას არ ეხება და შეგიძლიანთ მიმართოთ უფრო სხვა დაწესებულებას, რომელიც თვითურთ მუხლის განმარტებას მოგცემთ. (ლომთათიძე: რაშია საქმე ვერ გავიგე?)

**თავმჯდომარე.** არ არის განმარტებული ათი დღე საიდან იწყება.

**ალ. ლომთათიძე.** დრო ეს დამოკიდებულია არჩევნების დღეზე. ესე იგი იმ დღიდან, საიდანაც იწყება არჩევნები.

**თავმჯდომარე.** სარედაქციო კომისიას ეს არ ეხება. გთხოვთ განავრძოთ.

**მიმხსენებელი.** მე-40 მუხლი ასე იყო მიღებული: (კითხულობს) 40. საოლქო სასამართლო საადმინისტრაციო განყოფილებაში აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს იხილავს ხუთის დღის განმავლობაში.

ჩვენ შევცვალეთ: 40. საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს განიხილავს ხუთი დღის ვადაში.

შეტად მიმივ მუხლია; მაგრამ სხვანაირად შესწორება შეუძლებელი იყო.

მე-41-თი მუხლი. შეტანილია რამოდენიმე შესწორებები გასულია სიტყვები, და მიღებულია ამისთანა საბოლოო ტექსტი. 41. საარჩევნო სიები, მათი ხუთის დღის განმავლობაში, შესწორების შემდეგ, თანახმად იმ გადაწყვეტილების, რომელიც ცენტრალურმა კომისიამ გამოიტანა, ხოლო სათანადო შემთხვევებში თანახმად საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებისა ხელობა გამოქვეყნდება არა უგვიანეს ათის დღის ვადისა არჩევნების დაწყებამდე ისე, რომ ხალხს რაც შეიძლება გაუადვილდეს მათი გადათვლიერება.

### თავი მეხუთე.

მე-42-ე მუხლი. ამ მუხლშიაც ცოტაოდენი ცვლილება შეტანილი.

საბოლოო ტექსტი ასე მივიღეთ (კითხულობს) 42. დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება ერთ-ერთი გამოქვეყნებული საკანდიდატო სიისთვის ხმის მიცემით.

მე-43 მე-46-ე მუხლებში მიღებულია მხოლოდ გრამატიკული შესწორებები.

მე-47-ე მუხლი შემდგენიარად არის შესწორებული: ძველად იყო ერთი კანდიდატის სხვა და სხვა სიაში შეტანა დაუშვებელია.

ჩვენ შევასწორეთ: 47. ერთი კანდიდატის სხვა და სხვა სიაში შეტანა არ შეიძლება.

მე-48 მუხლა არის შეცვლილი ამგვარათ: 48. ცენტრალური კომისია ვალდებულია მისცეს, საკანდიდატო სიის მიღების ხელმოწერილი ბარათი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

49 მუხლში შეტანილია შემდეგი ვრამატიკული შესწორება: იყო: გასწორების შესახებ, — ჩვენ შევცვალეთ: გასასწორებლად.

ამიტომ არ წავიკითხავ.

50 მუხლი წინაღ იყო: წარდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებენ მე 42 და მე-44—45 მუხლ. აღნიშნულ მოთხოვნილებებს, ცენტრალურ კომისიის მიერ ინჟერება მათი შემოტანის რიგის მიხედვით, ან ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელებით, თუ სიების თან მოჰყავთ ასეთები, საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის შენობაში არა უგვიანეს ოცდასამის დღისა არჩევნების დაწყებამდე და მერე დაუყოვნებლივ ეტყობინება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყოველთაოდ ცხადდება.

შევასწორეთ ესე: 50. წარმოდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებს მე 42-ე და მე-44—45-ე მუხლ. აღნიშნულ მოთხოვნილებას, ცენტრალური კომისიის მიერ ინჟერება მათი შემოტანის რიგის მიხედვით, ან ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელწოდებით, თუ სიებს თან ახლდება ასეთები, საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის შენობაში არა უგვიანეს ოცდა სამის დღისა არჩევნების დაწყებამდე და მერე დაუყოვნებლივ ეუწყება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყოველთაოდ გამოცხადდება.

51 მუხლი საბოლოოდ ასეა მიღებული: 51. საკანდიდატო სიების შემტან ჯგუფებს შეუძლიანთ არა უგვიანეს ხუთშეტი დღისა არჩევნების დაწყებამდე განაცხადონ ცენტრალურ კომისიაში. რომ მათ სურთ თავიანთი საკანდიდატო სიების შეერიკა. ამ განცხადებაზე სელი უნდა ეწეროს შეერთების მსურველთ ყველა ჯგუფთა წარმომადგენლებს. ასეთს შეერთებას ცენტრალური კომისია აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს განცხადების მიღების მეორე დღისა.

52 მუხლი უცვლელადაა მიღებული.

თავი 6. 53—54 მუხლები უცვლელად არის მიღებული.

55-ე მუხლში არის შეტანილი შემდეგი ცვლილებები: ძველად იყო: (კითხულობს). თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას! ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას აქვს ასეთი.


ჩვენ შევცვალეთ: 55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. აქ ჩვენ შემდეგი შესწორება შევიტანეთ. ძველად იყო: 56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, ბნელი, სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

ჩვენ შევცვალეთ: 56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი არა გამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

ბნელის მაგივრად დავსწერეთ არაგამსჭვირვალე.

57—58 59 მუხლები უცვლელად არის მიღებული.



60 მუხლი. ეს მუხლი პარლამენტის მიერ ასე იყო მიღებული: 60. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ანზადებენ სახელობით მოწმობას ქალაქის თვითეულ ამრჩევლისთვის. ამ მოწმობებში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამრჩეველსა, მისამართი მისი, საარჩევნო ნაწილი და ის ნუმერი, რომელიც ამომრჩევლის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში. იქვე იყო ნაჩვენები დრო და ადგილი ხმის მიცემისა.

ჩვენ შევასწორეთ: 60 საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ანზადებენ სახელობით მოწმობას ქალაქის თვითეულ ამომრჩევლისთვის. ამ მოწმობაში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, მეტი სახელი ამომრჩევლისა, მისამართი მისი, საარჩევნო ნაწილი და ის ნუმერი, რომელიც ამომრჩევლის რიგს აღნიშნავს საარჩევნო სიაში. იქვე უნდა იყოს ნაჩვენები დრო და ადგილი ხმის მიცემისა.

**შენიშვნები**—უცვლელად არის მიღებული.

61 მუხლი. ძველად იყო: მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან დაურიგონ თვითეულ ამრჩეველს არა უგვიანეს შვიდი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო საარჩევნო ბარათი თვითეულ გამოცხადებულ საკანდიდატო სიაზე და სახელობითი მოწმობა ქალაქების ამრჩევლებს.

იმათ, ვისაც უფლება აქვთ მიიღონ სახელობითი მოწმობები და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღიათ, მიეცემათ: მოწმობები —ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღეს.

ჩვენ შევასწორეთ: 61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულს ამომრჩეველს არა უგვიანეს შვიდი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა —ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღეს.

62, 63 და 64 მუხლები უცვლელადაა მიღებული. მუხლებში მხოლოდ გრამატიკული შესწორებაა.

65 მუხლი პარლამენტის მიერ ასე იყო მიღებული: (კითხულობს) საარჩევნო ნაწილის უბნის სხდომები საჯაროა. ხმის მისაცემად დანიშნულ დღეს თავმჯდომარე კომისიისა, კომისიის წევრთა და ამ დროისთვის საარჩევნო დარბაზში შემოსულ პირთა თანადასწრებით ხონის კომისიის კრებას. თავმჯდომარე რწმუნდება, რომ საარჩევნო ყუთი მთელია და ცალიერი, დახურავს, ბეჭდავს მას და მოიწვევს ამრჩევლებს შეუდგნენ ხმის მიცემას. სანამ საარჩევნო ბარათების მიცემა გრძელდება, კომისიის სხდომაზე აუცილებლად უნდა იყოს კომისიის წევრთა ერთი მესამედი მაინც.

ჩვენ შევასწორეთ: 65. საარჩევნო ნაწილის უბნის სხდომები საჯაროა. ამის მისაცემად დანიშნულ დღეს თავმჯდომარე კომისიის წევრთა და ამ დროისთვის საარჩევნო დარბაზში შემოსულ პირთა თანადასწრებით გახსნის კომისიის კრებას. თავმჯდომარე გასინჯავს, საარჩევნო ყუთი მთელია და ცალიერი თუ არა, შემდეგ დახურავს, დაბეჭდავს და მოიწვევს ამომრჩევლებს ხმის მისაცემად. სა-



ნამ საარჩევნო ბარათების მიცემა გრძელდება, კომისიის სხდომაზე აუცილებლად უნდა იყოს კომისიის წევრთა ერთი მესამედი მაინც.

66—67. გრამატიკული შესწორებები.

68 მუხლის მეორე ნაწილი შევცვალეთ შემდეგნაირად: ძველად იყო: მილიციელები და ჯარისკაცები ერთავად თავმჯდომარეს ემორჩილებიან და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

ჩვენ შევცვალეთ: მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. უცვლელადაა მიღებული.

70. მუხლში: ამ აუხლში მრავლობითი რიცხვი შევცვალეთ უცილობლად.

მე-71, 72 და 73 მუხლებში გრამატიკული შესწორებები არის მიღებული.

მე-74 მუხლი ძველად იყო: არჩევნების სამივე დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები იკეტება საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად და სრულ რვა საათზე სოფლად, საარჩევნო ბარათების მიღება კი გაგრძელდება მხოლოდ იმათგან, ვინც კრების დაკეტვამდე შესულა შენობაში. საარჩევნო ბარათების მიღება რომ დასრულდება, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმის მიცემა ამ დღისთვის დამთავრებულია და საარჩევნო ყუთის ნახევრებს ლუქავს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი სტოვებენ საარჩევნო ოთახს, შენობა კი დაიბეჭდება თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღის დილაამდე და შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

ჩვენ შევცვალეთ: 74. არჩევნების სამივე დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები დაიკეტოს საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად და სრულ რვა საათზე სოფლად, საარჩევნო ბარათების მიღება კი უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმათგან, ვინც კარების დაკეტვამდე შესულა შენობაში. საარჩევნო ბარათების მიღება რომ დასრულდება, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხმის მიცემა ამ დღისთვის დამთავრებულია და საარჩევნო ყუთის ამოჭრილ პირს გალუქავს. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი დასტოვებენ საარჩევნო ოთახს, შენობა კი დაიბეჭდება თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღის დილაამდე და შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

მე-75 მუხლი პარლამენტის მიერ ასე იყო მიღებული: (კითხულობს) 75. არჩევნების მესამე დღეს საარჩევნო შენობის შესავალი კარები იკეტება საღამოს სრულ რვა საათზე სოფლებში, რის შემდეგ საარჩევნო ბარათების მიღება მხოლოდ იმათგან, ვინც შენობაში შესულა კარების დაკეტამდე. ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე კენჭის ყრას დასრულებულად აცხადებს და განკარგულებას ახდენს გაიღოს კარები. ამის შემდეგ კომისია თავდაპირველად კონვერტებს ცთვლის გაუხსნელად. თუ კონვერტების რაოდენობას, რომელთა გამოცხადება აღნიშნულია საარჩევნო სიაში, იმ შემხვევაში შესაფასავრი შენიშვნა შეაქვთ ოქმში და ამის შემდეგ იწყება კონვერტების გახსნა და საარჩევნო ბარათების კითხვა.

ჩვენ შევცვალეთ: 75. არჩევნების მესამე დღეს საარჩევნო შენობის შესავალი კარები დაიკეტება საღამოს სრულ ცხრა საათზე ქალაქებში და საღამოს სრულ რვა საათზე სოფლად, რის შემდეგ საარჩევნო ბარათების მიღება მოხდება მხოლოდ იმათგან, ვინც შენობაში შესულა კარების დაკეტამდე. ბარათების მიცემის გათავების შემდეგ თავმჯდომარე კენჭის ყრას დასრულებულად გამოაცხადებს და განკარგულებას მოახდენს კარები გაიღოს. ამის შემდეგ კომისია თავდაპირველად კონვერტებს დაითვლის გაუხსნელად. თუ კონვერტების რაოდენობა არ ეთანხმება იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთა გამოცხად-

დება აღნიშნულია საარჩევნო სიაში, იმ შემთხვევაში შესაფერი შენიშვნა შე-  
აქვთ ოქმში და ამის შემდეგ იწყება კონვერტების გახსნა და საარჩევნო ბარა-  
თების კითხვა.

76. უცვლელადაა მიღებული.

77-ე მუხლი შევცვალეთ შემდეგ ნაირად: პარლამენტის მიერ მიღებულ  
ტექსტში იყო: (კითხულობს) ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარა-  
თები, რომელნიც არ შეეფერებოდა მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათები, რომელნიც  
შეფუცებელია; 3) ბარათები, ხელმოწერილი ამოჩველების მიერ, ან  
ისეთები, რომელზედაც წაშლილია რამე, ან ამოფხეკილი, ან ზედ რაიმე გამო-  
საცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს, რომელთაც ასეთი ნიშ-  
ნები აქვთ; 4) ბარათები, თუ კონვერტში ერთზე მეტი დევს და თუ მათი ში-  
ნაარსი ერთი და იგივე არაა: თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და  
იგივე შინაარსის ბარათებია, მაშინ ისინი ერთ ბარათად ითვლება.

ჩვენ შევცვალეთ 77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი,  
რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათი, რომელიც შე-  
ფუცებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც  
წაშლილია რამე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნი-  
შანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ;  
4) თუ კონვერტში ერთზე მეტი ბარათია და მათი შინაარსი ერთი და იგივე  
არაა. თუ კონვერტში ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბა-  
რათად ჩაითვლება.

78-ე მუხლი უცვლელადაა მიღებული.

79 იყო ესე: (კითხულობს) ნამდვილად ცნობილი საარჩევნო ბარათები  
თვითთულ საკანდიდატო სიისთვის ცალკე ითვლება.

ჩვენ შევცვალეთ: 79. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბარათები თვი-  
თველ საკანდიდატო სიისა ცალკე უნდა დაითვალოს.

მართალია მიჩნეული და არა ცნობილი.

80. უცვლელად არის მიღებული.

81. მუხლი. აქაც სიტყვა ცნობილი შევცვალეთ სიტყვით მიჩნეულ. ამ  
მუხლში გრამატიკული შესწორებები არის. ჩვენ შევცვალეთ შემდეგნაირად:  
81. ოქმები გაიგზავნება მთავარ საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიაში,  
ოქმებთან ერთად გაიგზავნება ცალკე პაკეტებით: 1) საარჩევნო ბარათები კო-  
მისიის მიერ ნამდვილად მიჩნეული, 2) ბარათები, კომისიის მიერ ნამდვილად  
მიჩნეული, მაგრამ კომისიის რომლისაზე წევრისთვის სადავო; 3) ბარათები კო-  
მისიის მიერ არა ნამდვილად მიჩნეული წინააღმდეგ მისი ცალკე წევრების  
აზრისა და 4) ბარათები, რომელთა სინამდვილე კომისის ერთხმად უარუყვია.

ისევე აზრი დარჩა; მხოლოდ ნათლად გამოვსტყვით.

82—83 მუხლებში მრამატიკული შესწორებებია.

მე-84—მიღებულია უცვლელად.

თავი 7.

75 მუხლი იყო ასე: 85. ცენტრალური საერჩევნო კომისია ხელმძღვანე-  
ლობს რა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმებით,  
ითვლის ყველა ხმას მთელს რესპუბლიკაში რომ მიუკითხეთ თვითთულ საკანდი-  
დატო სიისთვის და ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა რაოდენობა  
ნაწილდება წარმოდგენილ საკანდიდატო სიების შორის იმ ხმების რიცხვის  
პროპორციით, რაც თვითთულ სიას მიუღია მთელს რესპუბლიკაში.

ამ განაწილების წესი ნაჩვენებია მე-87—89 მუხლებში.



ჩვენ შევასწორეთ: 85. ცენტრალური საარჩევნო კომისია იხელმძღვანელებს რა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმებით, დაითვლის ყველა ხმას, რაც მთელ რესპუბლიკაში მიუციათ თვითეულ საკანდიდატო სისისთვის და ამის შემდეგ დამფუძნებელ კრების წევრთა რაოდენობა დანაწილდება წარმოდგენილ საკანდიდატო სიების შორის იმ ხმების რიცხვის პროპორციით, რაც თვითეულ სიას მიუღია მთელს რესპუბლიკაში.

ამ განაწილების წესი ნაჩვენებია მე-77—89 მუხლებში.

86-ე მუხლი ასე იყო მიღებული: (კითხულობს) 86. თუ არჩევნებისთვის დანიშნულ ვადაზე არჩევნები ვერ მოხდა ერთს ან რამდენიმე საარჩევნო უბანში და ამასთან ამ უბნების ამრჩევლების საერთო რიცხვი, რომელთაც ამის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, შეადგენს არა ნაკლებს ერთის მეათედისა მთელის რესპუბლიკის ამრჩევლებისას, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია დაუყოვნებლივ განკარგულებას ახდენს დაინიშნოს ასეთ უბნებში ხელმოკრე არჩევნები; თუ ასეთ საარჩევნო უბნების ამრჩეველთა საერთო რიცხვი ნაკლებია ან თუ მეორეხელ დანიშნული არჩევნები არ მოხდა, მაშინ ხმების საერთო დათვლის დროს ცენტრალურ კომისიაში ის საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნები არ მოხდა, ანგარიშში არ ჩაითვლება.

ჩვენ შევასწორეთ: 86. თუ არჩევნებისთვის დანიშნულ ვადაზე არჩევნები ვერ მოხდა ერთს, ან რამდენსამე საარჩევნო უბანში და ამასთან იმ უბნების ამომრჩევლების საერთო რიცხვი, რომელთაც ამის გამო არჩევნებში მონაწილეობა მიუღიათ, შეადგენს ერთის მეათედზე არა ნაკლებს, მთელი რესპუბლიკის ამომრჩეველთა, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია დაუყოვნებლივ განკარგულებას მოახდენს დაინიშნოს ასეთ უბნებში ხელმოკრე არჩევნები; თუ ასეთ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ნაკლებია, ან თუ მეორეხელ დანიშნული არჩევნები არ მოხდა, მაშინ ხმების საერთო დათვლის დროს ცენტრალურ კომისიაში ის საარჩევნო უბნები, სადაც არჩევნები არ მოხდა, სათვალავში არ ჩაითვლება.

მე 87, 88, 89 და 90-ე მუხლებში მხდლოდ უბრალო გრამატიკული ცვლილებებია შეტანილი.

თავი მე 8 ე.

91. შევეცვალეთ ასე: წინად იყო: (კითხულობს) 91. თუ დამფუძნებელ კრების წევრობაზე ვინემ უარი განაცხადა, იმ შემთხვევაში მის ადგილს დაიკერს თანამდებობის წესით იმ სისის შემდეგი კანდიდატი, რომელ სითაც არჩეული იყო კრების წევრობაზე უარის მთქმელი.

თუ შეერთებული სიები იყო არჩევნების დროს, მაშინ, თუ ერთ შეერთებულ სიათაგანში კანდიდატად არაა, განთავისუფლებულ ადგილს დაიკერს კანდიდატი შეერთების იმ მონაწილე სისის, რომელსაც კანდიდატები ჰყავს და რომელსაც არჩევნებში მეტი ხმა ამოსვლია.

ჩვენ ასე შევასწორეთ: 91. უკეთეს დამფუძნებელი კრების წევრობაზე ვინემ უარი განაცხადა, იმ შემთხვევაში მის ადგილს დაიკერს თანდათანობის წესით შემდეგი კანდიდატი, იმ სიიდან, საიდანაც არჩეული იყო კრების წევრობაზე უარის მთქმელი.

უკეთეს სიები შეერთებული იყო არჩევნების დროს, მაშინ, თუ ერთ შეერთებულ სიათაგანში კანდიდატი არაა, განთავისუფლებულ ადგილს დაიკერს კანდიდატი შეერთების იმ მონაწილე სისის, რომელსაც კანდიდატები ჰყავს და რომელსაც არჩევნებში მეტი ხმა ამოსვლია.



ჩვენ შევცვალეთ ამნაირად: 104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადის, ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უქანასკნელმა არ მილოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩაშვყდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

**თავი მე-10-თე.**

115. მუხლი იყო ასე. ამომრჩეველებს არ მიეცემათ გასამრჯელო არც დროის დაკარგვისათვის, არც თავის გამოსაკვებად გაწეული ხარჯის ასანახლაურებლად და არც საგზაო ხარჯის დასაფარავად

ჩვენ შევცვალეთ ამნაირათ. 115 ამომრჩეველებს არ მიეცემათ გასამრჯელო არც დროის დაკარგვისათვის, არც თავის გამოსაკვებად გაწეული ხარჯის და არც საგზაო ხარჯის ასანახლაურებლად.

შემდეგ მუხლებში მიღებული არის მხოლოდ გრამატიკული შესწორებები ეროვნული საბჭო შევცვალეთ პარლამენტად ასევე 118 მუხლში.

119 შემდეგნაირად შევცვალეთ. ასე იყო მიღებული 119. საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო შენობების მოსაწყობი, გასათბობი და გასანათებელი ხარჯები ეკისრებათ ქალაქად საქალაქო თვითმართველობათ, სთფლად რესპუბლიკის ხაზინას.

ჩვენ გადააკეთეთ შემდეგნაირათ. 119. საარჩევნო კომისიისთვის საჭირო შენობის მოსაწყობი, გასათბობი და გასანათებელი ხარჯი დაედება ქალაქად საქალაქო თვითმართველობას, სთფლად კი რესპუბლიკის ხაზინას.

შემდეგ არის დართული აღწერილობის ქალღალი, შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა. არის შეცვლილი მხოლოდ სათაური.

აქ არის მოყვანილი ჯამი. არაერთიარო შესწორება არ არის. უმატებთ მხოლოდ შენიშვნას რომელიც შემოიტანა პარლამენტის წევრმა ლორთქიფანიძემ და რომელიც მიღებული იყო პარლამენტის მიერ. სიტყვით იყო გამოთქმული მაგრამ ჩვენ მივიღეთ ასეთი რედაქცია დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიებში მომუშავეთ სალიკვიდაციო ჯილდო არ მიეცემათ. ვგონებ აზრი სწორედ უნდა იყოს გამოთქმული. სხვა შესწორებები არაფერი ხარჯთ-აღრიცხვაში.

92 მუხლში ამოვშალეთ ტავტოლოგიური სიტყვები და მივიღეთ ასე: 92 თუ რომელსამე სიაში ან ყველა შეერთებულ სიებში აღარაა კანდიდატი დამფუძნებელი კრების წევრობაზე უარის მთქმელის ადგილის დასაქერად, მაშინ განთავისუფლებული ადგილი დაუჭერელი დარჩება

თავი მე-11-რე. 93—94 მუხლებში მხოლოდ გრამატიკული შესწორებები ძალაღური შევცვალეთ სიტყვით ძალაღობით.

მე-11-ე მუხლი იყო ასე: 95. ვინც განზრახ ყალბ ცნობებს გამოაკვეყნებს იმ ფაქტების შესახებ რომელიც კანდიდატის პიროვნებისა ან მის კერძო ცხოვრების შესახებ, იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას, ან მის მიერ წარმოდგელოდ ორგანიზაციას, ან გააყვანოს სხვა კანდიდატი—დაისჯება ციხეში ჩაშოწყდევით, ან დაქვრით.

ჩვენ შევცვალეთ ამნაირად: 95. ვინც განზრახ ყალბ ცნობას გამოაკვეყნებს კანდიდატის პიროვნებისა ან მისი კერძო ცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ





ნდობა დაუკარგებლად ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას ან გაიყვინოს სხვა კანდიდატი—დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით, ან დაქვრივ.

შემდეგ მუხლებში მხოლოდ გრამატიკული შესწორებებია.

104-მუხლი. წინანდელი რედაქცია იყო ასეთი: (კითხულობს) ვინც ამორჩეულს გადაიპირებს დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადის, ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით, თუ მიიღებს მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსალოში დაპატიმრებით.

დასჯება აგრეთვე შეედა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მიზნით.

**საბოლოო ტექსტი საჩხერეში ცეცხლისგან დაზარალებულთა დახმარების კანონისა.**

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი საბოლოო ტექსტი საჩხერეში ცეცხლისგან დაზარალებულთა დახმარების კანონისა.

ჩაუ. არხენიძე. (კითხულობს) კანონი საჩხერეში ცეცხლისგან დაზარალებულთა დახმარებისა.

ჩვენ შევიტანეთ სიტყვა სახელმწიფოს ხაზინა, სხვა უცვლელად დარჩა.

**საბოლოო ტექსტი სამთო-სამმართველოს დაარსების კანონისა.**

ჩაუძენ არხენიძე. (კითხულობს) კანონი სამთო-სამმართველოს დაარსებისა. ასეთი იყო სათაური: მაგრამ ამ ტექსტში არის დაარსება და გაუქმება სამთო-სამმართველოს დაწესებულებების. ამიტომ ეს კანონი არის არა მარტო დაარსებისა, არამედ გაუქმებისა და ამიტომ ჩვენ მივეცით ამ კანონს საერთო სათაური: კანონი სამთო-სამმართველოსი.

პირველი მუხლი უცვლელად გახლავთ.

მეორე მუხლი. წინანდელი ტექსტი იყო შემდეგი: ყველა ზემოხსენებული სამართველოს (იხილე მუხ. I ამა კან.) მოხელენი რჩებიან შტატს გარეშე და მათ მიეცემა სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით, თუ იმინი ჩიირიცხებიან ახლად დაარსებულ სამთო-სამმართველოში.

ჩვენ შევასწორეთ შემდეგნაირად: 2. ზემოხსენებული სამართველოს (იხილე მუხ. I ამა კან.) ყველა მოხელე დაჯილდოვდეს იქნეს შტატს გარეშე და ვინც ჩაირიცხელ არ იქნება ახლად დაარსებულ სამთო-სამმართველოში. მიეცეს სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით.

3 მუხლი. წინათ იყო: 3. დაარსდეს საქართველოს სამთო-სამმართველო, რომელიც დაეგეგმებათა ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს და ამ სამმართველოს გადაეცეს მოელი ქონება და საქმეები კავკასიის სამთო-სამმართველოსი და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატები.

მუხლი დიდი იყო და ძალიან უხერხულად იყო გამოთქმული. ჩვენ ასეთნაირად გადავკეთეთ; 3. დაარსდეს საქართველოს სამთო-სამმართველო, რომელიც უდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, გადაეცეს ამ სამმართველოს ყოველი ქონება და საქმე კავკასიის სამთო-სამმართველოსი და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატები.

4 მუხლი. ამ მუხლში მხოლოდ უბრ ალო გრამატიკული შესწორებები სარის შეტანილი. აგრეთვე ციფრებით სიტყვებითაც დაესწერეთ.

შტატების მაგივრათ, შტატი დაეწერეთ, სხვა უცვლელათ არის.

5. ერთი სიტყვა არის შეცვლილი:—შემადგენლობის მაგივრათ დაესწერეთ: შედგენლობისათვის.

6-ეს მუხლი ძველათ ასე იყო მიღებული. გადაეცეს ახლად დაარსებულ საქართველოს სამთო სამმართველოს განკარგულებაში ამ ჯამათ დარჩენილ კავკასიის სამთო სამმართველოს სახელზედ ყოველი ანგარიშები, როგორც არის: დეპოზიტები, ბეები, სპეციალურ თანხები და სხვა.

ჩვენ შევასწორეთ: 6. გადაეცემულ იქნეს ახლად დაარსებულ საქართველოს სამთო სამმართველოს განკარგულებაში კავკასიის სამთო სამმართველოს სახელზედ დარჩენილი ყოველი ანგარიში, როგორც არის: დეპოზიტი, ბეი, სპეციალური თანხა და სხ.

ამ კანონ-პროექტს აქვს დამატება: სამმართველოს შტატები, იქ არის შეცვლილი მხოლოდ ერთი სიტყვა:—იყო მანქანაზე გადამწერი ჩვენ დაესწერეთ მანქანით გადამწერი.

საბოლოო ტექსტი სპეკულიაციის კანონის მე-16 მუხლისა.

არსენიძე (კითხულობს): კანონი სპეკულიაციის შესახებ.

მე-16 მუხლი ამ კანონ პროექტისა შეიცვალა შემდგენიარათ: (კითხულობს)

თავმჯდომარე. ეხლა გათავდა სარედაქციო შესწორებები. სიტყვა ეკუთვნის საარჩევნო კომისიის წევრს ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე. მოქალაქენო! რიცხვი მომავალ ცენტრალურ კომისიის წევრებისა უკვე გადასწყვიტა პარლამენტმა, მაგრამ წარსულ კრებაზე ერთი საკითხი იყო მოხსნილი, რომელიც არ განვიხილეთ. საკითხი ასე იყო დასმული: სცნობს თუ არა პარლამენტი შესაძლებლად, რომ ის განმარტებანი, რომელიც საქირო იქნება ამ საარჩევნო კანონის მიუხედავთ დევალოს თვითონ ცენტრალურ კომისიას. ესე იგი, უფლება მიეცეს მას, რომ თითონ პარლამენტში შემოუტანლად შეიმუშაოს ინსტრუქცია, და გაატაროს ცხოვრებაში.

პარლამენტმა მოისურვა, მაშინ ამ საკითხის გადადება, რადგან ჯერ კომისია უნდა აერჩიოს. ეხლა მე მოვაგონებ დღეს პარლამენტს, რომ ეს საკითხი გადაწყდეს. თუ პარლამენტი მოისურვებს და ამ ინსტრუქციის შემუშავებას და ცხოვრებაში გატარებას დაეხმარება ცენტრალურ კომისიას, საქიროა, რომ დღესვე სთქვას. ხოლო თუ პარლამენტი სხვა აზრს დაადგება, მაშინ, რასაკვირველია სხვა იქნება. მაშინ უეჭველად საქირო იქნება, რომ ეს ინსტრუქცია შეიმუშაოს ცენტრალურ კომისიამ, შემოიტანოს აქ, და მსჯელობა გაიმართოს.

მე, პირადად, უნდა მოვასხენოთ, რომ ძალიან ვეჭვობ, რომ ეს ესე აღრე მოხდეს. უკანასკნელი 2—3 კვირა, თუ მეტი არა, მოუწდება ამას. მაშინ, რამდენადაც მე ვიცი, პარლამენტმა გამოსთქვა აზრი ერთხმად თითქმის, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს დამფუძნებელ კრების არჩევნები. მე წინადადება შემოვიტანე ისეთი, რომ სანამ არჩევნები მოხდებოდეს, პარლამენტმა გამოიტანოს და გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ: სცნობს თუ არა შესაძლებლად, რომ მომავალში ცენტრალურ კომისიას დაევალოს შემუშავება და ცხოვრებაში გატარება მისი, თუ მას საქიროდ მიაჩნია, დაევალოს ცენტრალურ კომისიას შემუშავება ინსტრუქციისა და შემოტანილი იყოს პარლამენტში, როგორც დანარჩენი კანონ-პროექტები?

მე უნდა მოვასხენოთ, აქ, რამდენადაც მე მესმის, არავითარი ისეთი



პრინციპიალური საკითხი არ არის; აქ მხოლოდ ახსნაა, განმარტება, კანონ-პროექტისა, რომელიც დღეს მიღებული არის, მხოლოდ ახსნაა კანონ-პროექტი-სა მეტი არაფერი.

მე პირადად შესაძლებლად მიმაჩნია, რომ პარლამენტმა ეს დაავალოს ცენტრალურ კომისიას.

გთხოვთ აგრეთვე გამოარკვიოთ, დაასახელებთ კომისიის წევრებს, თუ შემდეგ შეიძლება დასახელება.

**თავმჯდომარე.** აქ არის წინადადება, რომ შემდეგ დასახელდეს კომისიის წევრები. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს აკ. ფალავას.

**აკაკი ფალავა (ს. ფ.)** თუ არ ვცდები, დღიურ წესრიგში ეს საკითხი არ უნდა იდგეს. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება, ასეთ საკითხის გადაწყვეტა, ასეთ საქმის ჩადენა, როდესაც წინასწარი გათვალისწინება არ არის. დღიურ წესრიგით არავითარი საარჩევნო კომისია არ არის გათვალისწინებული.

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, მოგახსენებთ.

როდესაც წესრიგი დადასტურეთ, მ მუხლში იყო მოხსენებული კომისიის არჩევაც.

დღიური წესრიგი კი მიღებული გახლავთ.

**აკაკი ფალავა.** უკაცრავად. ეს მუხლი ჩამატებული არის დღეს და სხდომის წინ იყო გამოქვეყნებული, რაც ყოველად შეუძლებელი გახლავთ. ეს ისეთი სერიოზული საკითხი არის, რომ ჩვენ წინასწარ არ უნდა გვეცოდნოდა. წესრიგი გუშინ უნდა ყოფილიყო დარიგებული. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი: ამ საკითხის გადაჭრა შემდეგ სხდომისთვის გადაიდოს.

რაც შეეხება ინსტრუქციის გამოკრემას, ამის შესახებ, მე, პირადად, მოგახსენებთ, რომ ეს საკითხი უნდა იყოს განხილული შემდეგ იმისა, როცა ჩვენ შევისწავლით დებულებას, ვინაიდან შესაძლებელი არის კომისიაში ისეთი ინსტრუქცია შემუშავდეს, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. აქ ბ. ლომთათიძე ბრძანებს, რომ ეს უბრალო ახსნა-განმარტება იქნება, მაგრამ ამ ახსნა-განმარტებას, შესაძლებელია, ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ რაიმე ხარალი მოგვიტანოს სარგებლობის მაგივრად.

ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება, რომ ინსტრუქციის შესახებ დავავალოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ამასთან იგი გაუხადოთ ვალდებული, რომ თავის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციის დასკვნა წარმოუდგინოს პარლამენტს. პარლამენტი იმსჯელებს და მაშინ ჩვენ მოგვეცემა საშუალება დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულება უკვე საბოლოოდ დავამტკიცოთ სარედაქციო შესწორებებთან ერთად.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ალ. ლომთათიძეს.

**ალ. ლომთათიძე.** მე რაღაც გთუბებობად მიმაჩნია ბ. ფალავას გამოსვლა. მე მეგონა, რომ სათანადო დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა იყოს შეტანილი ოქმში. და აი სწორედ იმ დროს, როდესაც მე მოგახსენე პარლამენტს თავის დროზე, რომ საჭიროა ინსტრუქციის შემუშავება, მაგრამ პარლამენტმა მაშინ ისურვა, რომ საკითხი განხილული ყოფილიყო და გადაწყვეტილი მაშინ, როდესაც არჩევნებს მოვახდენდით ცენტრალურ კომისიაში. მაშასადამე ყველა ფრაქციებს უნდა სცოდნოდა ეს.

გარდა ამისა, აქ არიან ძველი საარჩევნო კომისიის წევრები და დამიმოწმებენ, რომ ამ კომისიამ მიიღო ისეთი დადგენილება, რომ მისი აზრით, ამ ინსტრუქციის შემუშავება ბ ცხოვრებაში გატარება შეუძლიან იმ ცენტრალურ კომისიას, რომელსაც არჩევს პარლამენტი. ასე რომ მეორეს მხრივ, როდესაც



მოსხენება გაკეთდა ყველა ფრაქციებს საშუალება ჰქონდათ სხდომა მოესწრაფათ და წინასწარ შეელოთ ზომები.

მოქალაქენო, მე მგონია, ამას უნდა მიექციოს დიდი ყურადღება. მოგახსენებთ, მე მსურს, რომ პარლამენტის წევრები გამოვიდნენ და დაამტკიცონ წინააღმდეგი. მე მოგახსენებთ, თუ ამისთანა გადაწყვეტილებას გამოიტანთ, რომ ამ ინსტრუქციის შემუშავებას და მიღებას საბოლოოდ დააკისრებთ პარლამენტს, მაშინ თქვენ უნდა იანგარიშოთ, რომ საარჩევნო კომისიის დაწყობა გადაიდება, minimum-ი რომ ავიღოთ, ერთი თვის ვადით.

მე მინდა, რომ აქ კარგად გაიგოთ ეს. რაც შეეხება ინსტრუქციებს ეს იქნება მარტო ახსნა და განმარტება, ვიმეორებ, მარტო უბრალო განმარტება და მეტი არაფერი.

მე ვეთანხები წინა ორატორების აზრს, რომ შეიძლება ზოგიერთი განმარტება ისეთი იყოს, რასაც ბევრი შეიძლება არ დაეთანხმოს, ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია. მაგრამ, როგორც თქვენ გადაწყვეტით თითქმის ოცდაერთი წევრი შედის ცენტრალურ კომისიაში. და არც ერთი ჯგუფი, არც პატარა ფრაქცია არ რჩება, რომ არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. მაშასადამე, ამ მხრივ, სრული გარანტია არის, თუ ვინცობაა სახეშია ისეთი ახსნა განმარტების გამოტანა, რაც ამა თუ იმ ფრაქციის ინტერესს არ შეეფერება, ყოველივე ფრაქციის წარმომადგენელს შეუძლია ისარგებლოს თავის მდგომარეობით და ეს განაცხადოს. ამ მხრივ სრული გარანტია არის.

ორში ერთი, ან ჩვენ დაინტერესებულნი ვართ და რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეუდგეთ მეტად სამძიმო საქმეს, ან და შეიძლება უკადლოთ ორი სამი თვე, სანამ საბოლოოდ შეიმუშავებს პარლამენტი ინსტრუქციას.

თუ ესე დაყენებთ საკითხს, თქვენ დამეთანხმებით, რომ სანამ ცენტრალი კომისია შეიმუშავებს ინსტრუქციებს, შემდეგ შეიზოტანს პარლამენტში, სანამ შესაძლებელია გაიმართება და პარლამენტი გააშუქებს, მანამდის დიდი დრო გავა. მე ვაცხადებ, რომ აუცილებლად საქიროა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოგვარდეს საქმე. ჩვენ ასეთს აზრს ვაღგვიართ და შემიტანეთ ეს წინადადება. მე გადაჭრით ამას მხარს უჭერს.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი გაბაშვილი.

**რევაზ გაბაშვილი.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, მე ვიცავ იმ წინადადებას, რომ ინსტრუქცია ისევე, როგორც ეს დებულება, შემუშავებული იყოს პარლამენტის მიერ.

შესაძლებელია, ეს მართლა ერთი კვირით კიდევ დაგვიანებს საქმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო მეტი გარანტია იქნება იმ წევრებისთვის, რომელნიც დღეს ისე ძლიერნი არ არიან, როგორ უმრავლესობის პარტია. თქვენთვის იქნება საჩქარო იყოს, მაგრამ ჩვენთვის იმდენად საჩქარო არ არის იმ მოსაზრებით (სოციალ-დემოკრატების მხრივ: ჩვენთვის კი არ არის საქირო — ქვეყნისთვის არის საქირო, ბ. გაბაშვილი!)

ქვეყნისთვის თუ არის საქირო, დამფუძნებელ კრების მოწვევა შეიძლება ბოდა ამ სამი თვის წინად. შესაძლებელია იგი ხვალვე მოვიწვიოთ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრება იყოს ნამდვილი გამომხატველი ამ ქვეყნის აზრისა და არა ცალმხრივი, როგორც დღეს არის პარლამენტი, სწორედ იმისთვის, რომ ქვეყნისათვის საქირო არის ეს, უნდა იყოს შემუშავებული ისეთი ინსტრუქცია, ისეთი დებულება, რომლითაც ყოველივე მოქალაქე სრულიად უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარ ძალდატანებისაგან.

თითონ იმ დებულებაში, რომელიც პარლამენტმა მიიღო და მიიღო იმი-



ტომ, რომ უმრავლესობას დღეს შეადგენს სოციალ-დემოკრატია, აი ამ დებულებაშიაც უკვე არის ისეთი სახელი, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ვლაპარაკობთ, და რომელიც არ აძლევს საკმაო გარანტიას სხვებს, რომ თავისუფლად აირჩიონ თავისი წარმომადგენელი. ამიტომ ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგი ვართ, რომ ამ შეცდომით მიღებულ დებულებას დაემატოს ინსტრუქციის სახით ისეთი რამ, რომელიც გააუარესებს კიდევ მდგომარეობას.

თქვენ ბატონებო, მოგვინებთ ერთ რამეს: პარლამენტმა მიიღო ერთი ჩვეულებრივ და არსებითი მუხლი, რომლის წყალობით ადმინისტრაცია მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ეს, რასაკვირველია, თქვენთვის ხელსაყრელი არის, ჩვენთვის კი ინდენად ხელსაყრელი არ არის. წინადადება შემოტანილი, რომ ინსტრუქციის შემუშავება დაევალოს კომისიას, რომლის უმრავლესობას თქვენვე შეადგენთ. თუ ეს მივიღებთ, მაშინ ამ ინსტრუქციაში შეიძლება შეიტანოთ იმისთანა მუხლი რომ, მაგალითად, ადმინისტრაციის უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა კიდევ უფრო გააძლიეროთ.

შეიძლება ინსტრუქციამ იმისთანა ფუნქციები დააკისროს ადმინისტრაციის, რომ მთელი საქართველოს ხალხი და მით უმეტეს თქვენი მოწინააღმდეგე ხალხი და წევრები, ჩააყენონ თოჯინის და ზარბაზნების შიშის ქვეშ და რომ ცოტათი მაინც გავაბათილოთ ის დებულება, რომელიც უკვე პარლამენტის მიერ მიღებული არის, საჭიროა, რომ ეს ინსტრუქცია იყოს შემუშავებული თითონ პარლამენტის მიერ და პარლამენტმა და მთელმა ქვეყანამ იცოდეს, თუ რა ძალდატანება შეიძლება მოხდეს პარლამენტში, სადაც უმრავლესობას შეადგენს მოძალადეობის პარტია.

ამიტომ მე მოვიბოძებ, რომ ინსტრუქცია შემუშავებული იყოს აქვე, პარლამენტში.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი გობეჩია.

**ივანე გობეჩია** (ს. რ.) ბატონებო, ესერებას ფრაქცია ფიქრობს, რომ უმთავრესად რაც საჭირო არის დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის, ეს უკვე პარლამენტმა დაამტკიცა. ესე იგი პარლამენტმა შეიმუშავა დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა. ეხლა მეორე საკითხი საკითხი, რომელიც აქ არის დასმული, ეს არის პირდაპირ ტენზიკის საკითხი.

მე არ მგონია, რომ პარლამენტი შეუდგეს ცხოვრებაში ვატარებას იმ ტენზიკური მხარეებისა, რაც უკვე კანონმდებლობით არის მიღებული.

ეს არის პირველი.

მეორე, ჩვენს ფრაქციის მიაჩნია, რომ საკითხი დამფუძნებელ კრების არჩევნებისა ნაშენივად გაუიანურდა და თუ ამ წინადადებას დაუჭერთ მხარს, რომ ეს ინსტრუქცია ჩვენ შევიმუშავოთ, ეს საკითხი უფრო მეტად გაუიანურდება და ჩვენ დროს დავკარგავთ იმისთვის, რის გაკეთებაც აუცილებლად მიგვაჩნია.

და თუ ზოგიერთს არ მოსწონს დამფუძნებელ კრების დებულების მუხლები, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, რასაკვირველია, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუნდაც ჩვენ ინსტრუქციები აქ შევიმუშავოთ. მაინც ვერ მოვსპობთ იმ მუხლს, რომელიც უკვე არის მიღებული.

საეციალური კომისია, რომელიც 21 წევრისგან შეესდგება. მხოლოდ ვატარებს ცხოვრებაში, და ვნაძრტავს იმ მუხლებს, რომელნიც არიან მიღებული პარლამენტის მიერ.

ამისთვის ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, რომ დღესვე იყოს არჩეული კომისია და იმას დაევალოს ინსტრუქციის შემუშავება.



**თავმჯდომარე.** ვის ნებავს სიტყვა? არავის. კენჭს უყრი ბ. ლომთათიძის წინადადებას, რომ ცენტრალურ კომისიას დაველოს ინსტრუქციის შემუშავება. ვის ნებავს სიტყვა? არავის. მიღებული გახლავთ. მაშასადამე მეორე წინადადება, რომ ინსტრუქცია შეამუშავოს პარლამენტმა,—უარყოფილი არის.

შემდეგ,—კომისიის წევრების არჩევნები (ხმა: დამტკიცებულია) ღიახ.

### დამფუძნელ კრების ცენტრალურ კომისიის არჩევნები.

**დამირიტი ჭიბრაძე.** (ს.-დ.) სოც.-დემოკრ. ფრაქცია ასახელებს ცენტრალურ კომისიის წევრებად შემდეგ პირებს: (ხმა: რამდენი სულ?) შვიდი. (კითხულობს) ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, მელიტონ რუსია, გიორგი ცინცაძე, დ. ხოლოდაშვილი, ჟღერტი და ილია ფირცხალაშვილი.

**სპ. კელია.** (ადგილიდან) შეიძლება?

**თავმჯდომარე.** ინებეთ.

**სპ. კელია.** (ერ.-დემ.) მე მგონია, რომ ვიდრე წევრების დასახელებას შეუდგება პარლამენტი, საჭიროა პროპორციონალურად განაწილდეს წევრთა რაოდენობა.

### კრების დახურვა.

**თავმჯდომარე.** როგორ ინებებთ? (ხმა: შევწყვიტოთ კრება). პარლამენტის წევრი დადიანი.

**საშ. დადიანი.** (ს.-ფ.) სოციალ-ფედერალ. ფრაქციის სახელით წინადადება შემომამქვს, რომ რამდენიმე წუთით შესწყდეს სხდომა, რათა გამოვარკვიოთ ეს საკითხი. მით უმეტეს, რომ ფრაქციას არ მოსვლია არავითარი ცნობა, თუ რამდენი უნდა იყოს კომისიაში, როგორი პროპორცია უნდა იყოს, ვინ უნდა იყოს არჩეული, ვინ უნდა იყოს კანდიდატად დასახელებული და სხვა.

ჩვენ არავითარი ლაპარაკი არ გვქონია, არავითარი არავითარი დადგენილება არ გამოგვიტანია; ამიტომ გთხოვთ შევწყვიტოთ კრება და მოგვეცეთ საშუალება საკითხი გამოვარკვიოთ.

**თავმჯდომარე.** კრებას ვწყვეტ.

(კრება სწყდება 1 საათსა და 45 წუთზე).

### კრების ხელახლა გახსნა.

(კრება იხსნება 2 საათსა და 20 წუთზე).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ წარმოადგინოთ სია კანდიდატებისა.

**ლევ. ნათაძე.** (ს.-დ.) (ადგილიდან) განცხადება უნდა შემოვიტანოთ.

**თავმჯდომარე.** რის შესახებ?

**ლევ. ნათაძე.** შეთანხმების შესახებ, კანდიდატების შესახებ.

**თავმჯდომარე.** მობრძანდით!

**ლევ. ნათაძე.** (ს.-დ.) ჩვენმა ფრაქციამ შემდეგი პროექტი წარმოადგინა: სოციალ-დემოკრატებს მიეცემა 7 ადგილი ამ კომისიაში, ფედერალისტებს—2 ადგილი, ესერებს—2, ეროვნულ-დემოკრატებს—2 და დანარჩენებს თითო სულ 21.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი გაბაშვილი.



**რევოლუციონერები** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, მე არ ვიცი რითი ხელმძღვანელობდა სოც.-დემოკრატიული ფრაქცია, როცა ასე ანაწილებდა ხმებს. მე მინდა მხოლოდ ვსთქვა, რომ არ არის სამართლიანი, თუმცა ბევრჯერ და მუდამ, ამ სამართლიანობაზე ლაპარაკობენ. ეს განაწილება არ არის სამართლიანი მაშინაც კი, თუ მივიღებთ მხედველობაში ძალთა—განწყობილებას, რომელიც არის პარლამენტში. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ძალთა-განწყობილება პარლამენტში თავიდანვე არ არის სამართლიანი, და არ შეეფერება სინამდვილეს, მაშინ ხომ სრულიად უსამართლო იქნება.

დავიწყოთ, ბატონებო აქედან. ჩვენს პარლამენტში არის 10 ეს-ერი. რადგანაც, ჩვენ ვიცით, რომ მთელ საქართველოში, ამ ათის გარდა, კიდევ ათი აღარ მოიპოვება, და ეს 10 კაცი დღეს მოხვდა საქართველოს პარლამენტში,—სოციალ-დემოკრატებს ჰსურთ, ალბად, გააძლიერონ, საზოგადოდ, რევოლუციური ტალღების დროს სოციალისტური მხარე, მაგრამ ეს რევოლუცია მორჩა, ბატონებო. დღეს, როდესაც ჩვენ ვიწვევთ დამფუძნებელ კრებას, და არა რევოლუციის ხანაში ემოქმედობთ, სრულიად შეუფერებელი იქნება, რომ ეს-ერებს ჰქონდეთ იმდენივე ხმა, რამდენიც აქვთ თუნდაც იმავე პარლამენტში სხვა ფრაქციებს.

მეორე პარტია, რომელიც არის დღეს პარლამენტში არის ფედერალისტების პარტია. მაშინ, როდესაც არჩევნები ხდებოდა, ფაქტიურად მათ მიიღეს ნაკლები ხმა, ვიდრე ეროვნულ-დემოკრატებმა. ამის და მიუხედავად, მათ ეძლევათ 2 ხმა, იმდენი, რამდენიც სხვებს. შესამე ფრაქცია, რომელიც წარმოადგენს დღეს პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატებს, დამოუკიდებელს და დამოუკიდებულს (სიცოლი), 2 ხმა ეძლევათ.

ბატონებო, ყველამ იცით, რომ ფაქტიური მდგომარეობა ისეთი იყო: ეს დამოკიდებული ეროვნულ დემოკრატები, რომელნიც დღეს იცავენ ვითომდა ბურჟუაზიას, სულყოველთვის შეადგენდნენ მცირე ნაწილს ჩვენს მთლიან პარტიისას, სულყოველთვის, და ყოველ კონფერენციაზე წარმოადგენდნენ ისეთ ჯგუფს, რომელნიც ჯერ-ჯერობით დამარცხებულნი გამოდიოდნენ. (ხმები: ეროვნულ დემოკრატების მხრივ: სიცრუეა. ფეოდალია!). ბატონებო, აქ მობრძანდით, და აქედან ილაპარაკეთ. დამარცხებული გამოდიოდნენ, პროგრამულად, და შემადგენლობით. ამისდამიუხედავად, რადგანაც ბ. ერ. წერეთელმა მოაჯადოვა ეროვნულ-დემოკრატები, და კომპლიმენტები უთხრა მათ, სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს, რომ ეროვნულ-დემოკრატებს მიეცეთ 2 ხმა, და დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატებს კი 1 ხმა.

უბრალოდ რომ ვიანგარიშოთ, არითმეტიკულად, ნუ თუ თქვენ შეგიძლიანთ სამართლიანად ჩასთვალოთ, რომ ეს-ერებს, რომლებსაც საქართველოს პირობებში ჰყავთ სულ 10 კაცი, მისცეთ 2 ხმა, და დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატებს, რომელნიც, თქვენ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, შესდგებიან მთლიანად ზურგებისაგან, და რეაქციონერებისაგან (ხმა: მართალია!) დიახ, დიახ, და თუ მართალია, მითუმეტეს უნდა გაიზიაროთ, თუ რა მოჰყვება იმის შედეგად. თუ ეს მართალია, რომ ჩვენი დამოუკიდებელი ფრაქციას მისდევს გაცილებით მეტი ხალხი, ვიდრე ეს-ერებს, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ეს არა ნორმალური მდგომარეობა იქნება, რომ ეს-ერებს აძლევთ 2 ხმას, და ჩვენ კი ერთ ხმას. ეს სრულიად არ შეეფერება ძალთაგანწყობილებას. თუ თქვენ გაითვალისწინებთ ამ მდგომარეობას, თუ თქვენი სიმართლე სურის, რომ თქვენ უნდა გქონდეთ 7 ხმა, და დანარჩენებს თითო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ფრაქციას ამისთანა უსამართლო სამართლით მოუწევს ყოველ შემთხვევაში, 2 ხმას

მინც, ამიტომ, მე მოვითხოვ, რომ დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატულ ჯგუფებს ამ ცენტრალურ კომისიაში 2 ხმა.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი არსენიძე.

**რაუდენ არსენიძე.** ერთი ახირებული ჩვეულება დამტკიცდა ჩვენს პარლამენტში. როცა ჩვენი ფრაქცია წინადადებას წამოაყენებს და გამოსთქვამს თავის აზრს—ამ დროს მემარჯვენე ფრთა უგვევლად წინააღმდეგ ილაპარაკებს, რომ თითქოს იმათ რაღაც უფლებებს უხლუდავდნენ თუ მართლა მივიღებთ ძალთა განწყობილებას, ეს მემარცხენე სექტორი წარმოადგენს ნახევარ თუ არა ერთ მესამედს მინც 21 ხმიდან ვიტოვებთ მხოლოდ 7 კაცს. და ჩვენ ამაზე გვეუბნებიან: „თქვენ უსამართლობა ჩაიდინეთ“. რ. უსამართლობა თქვენ თითონ ჩაიდინეთ და ნუ თუ თქვენ თავს ქოქოლა უნდა დაეყაროთ.

მით უმეტეს მე არ მესმის იმ ჯგუფის გამოსვლა, რომლის წარსული არ ვიცით და რომლის მომავალიც ბურჟუაზია არის მოცულობით; არ ვიცით, რა ძალას წარმოადგენს ეს ჯგუფი.

არავის არ გაუგია, რომ ერობის არჩევნებში, ერთი მათგანი სადმე გაეყვანათ.

სხვა ფრაქციებმა, ყველამ ერობის არჩევნებში საკმაოდ ვაიყვანეს და მაგათ კი არ გაუყვანიათ წარმომადგენელი. ერთად-ერთი ფრაქცია, რომელსაც არავითარი გავლენა არ მოეპოვება ეს არის დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია და მხოლოდ იმ ტომ, რომ პარლამენტში მას, რომდენიმე ხმა დარჩა მოითხოვის, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ორი წარმომადგენელი ჰყავდეს.

აქ ესერებსაც ედავებიან. უნდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი არჩევნების წყალობითაც გამოირკვა, რომ რაღაც ძალა მათ აქვთ. ბევრა თუ ცოტა, მაგრამ მინც აქვთ ერთგვარი ძალა. თუ რა არის „დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატი“ კაცმა არ იცის. და ამიტომ, მოგახსენებთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოსპოს მემარჯვენე ფრთამ ეს ჩვეულება, უნდა თავი დაანებოს ამ ბრალდებებს და გამოიჩინოს მეტი პოლიტიკური სიმწიფე და პოლიტიკური ნიჭი.

**თავმჯდომარე.** პარლამენტის წევრი გობეჩია.

**ივანე გობეჩია.** (ს.-რ.) მე ამ ტრიბუნაზე არ გამოვიდოდი, რომ არ მოგვესმინა რეზო გებაშვილის სიტყვა. უცნაური აღამიანი არის ბ. გებაშვილი მე მგონია, აქ შეითხოვას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ჩემის აზრით ის ითვალისწინებს ამ ტრიბუნიდან თავის მომავალს. ესერების პარტიას, რომ ბევრი მიმდევრები ამ პირობაში არ ჰყავდა—ეს ადვილად ასახსნელია. ეს იხსნება იმით, რომ ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს, ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი სოციალისტური წესწყობილებაში არის. ჩვენ თანდათან ვიზრდებით დიდი კიდევაც ვავიზრდებით. შესაძლებელია დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს უფრო მეტი ვიყოთ, ვიდრე თქვენ გგონიათ, მაგრამ რაკი აქ ჩვენი ბევრი ვართ, მინც და მინც თქვენ და ესერების შუა პარალელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მე მრწამს, რომ თქვენ, არამც თუ თქვენ, მე მრწამს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს თქვენი ამომოჩეულებიც გაჰქრებიან და ადგილი არ ექნებათ (ხმა მემარჯვენეებისგან: ბურთი და მოედანი თქვენ დაგრჩებათ!) ბურთი და მოედანი ჩვენ არ დაგრჩება, მაგრამ თქვენ კი დაგ-ვიწყდებათ უშვერი ლანძღვა-გინება, რომლითაც მიმართავენ თქვენ მოწინააღმდეგეებს.

ასე თუ ისე, მინც სტილი უნდა შეიცვალოს (შალვა ქარუმიძე: „თქვენ





ჩაგრული სტილით ლაპარაკობთ<sup>4</sup>) მე მგონია, ეს არ შეეხება იმ მსმენელთა გემოვნებას, რომელთაც თქვენ ეხლა მათ უმისპინძლდებით. შეიძლება მე ჩაქარ გულ ქართულს არ ვლაპარაკობდე, მაგრამ რასაც ვამბობ ეს სამართლიანია. თქვენი დრო კი მოკმული არის და თქვენ უნდა გააჭკრეთ.

აკაკი ფალავა. ჩვენ მწუხარება უნდა გამოსეთქვათ იმის შესახებ, რომ ასეთი პატარა საკითხი ისევ საკინკლავო გახდა პარლამენტში, რაც საქმიანობით მუშაობას ხელს უშლის.

ჩვენის ღრმა რწმენით, პარლამენტისთვის საინტერესო არ არის შინაგანი განწყობილება დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ეროვნულ-დემოკრატიებს შორის. მათ უეჭველია, საკმაო დიდი დრო ჰქონდათ, ეს ურთიერთობა გამოეგრკვიათ. და მომავალშიაც, როგორც უნდათ ისე მოიქცნენ, ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის.

სოციალისტ-ფედერალისტების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ გეყარებით პრობორციონალურ განაწილებას. რადგანაც კომისიაში აბსოლიუტური უმრავლესობა არავის არ ექნება. ჩვენ გვგონია, რომ არც ერთ ჯგუფის აზრი არ მოეხვევა თავზე არავის.

ამიტომ მხარს უჭერთ ამ განაწილებას.

თავმჯდომარე კამათი შეწყვეტილია. გთხოვთ წაიკითხოთ სია კანდიდატებისა.

მდივანი. (კითხულობს) 1) სოც.-დემოკ. ფრაქციისაგან. ა. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, მ. რუსია, გ. ცინცაძე, ო. სოლოღაშვილი, ვ. კლენტი და ი. ფირცხალაიშვილი.

სოციალისტ-ფედერალისტებისაგან. არჩილ ჯაჯანაშვილი და თედო ლლონტი.

ეროვნულ დემოკრატებისაგან. გიორგი გვაზავა და იასონ ლორთქიფანიძე.

სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან. ივანე გობეჩია და ილია თევზაძე. დამ. ერ. დემოკრატებისაგან. გრ. ვეშაპელი.

რადიკალ-დემოკრატებისაგან. ალექსანდრე ახმეტელი.

დამოუკიდებელ კავშირიდან. კოტე მაყაშვილი.

„ალიონის“ ჯგუფისაგან. პ. ქავთარაძე.

თათართა ბლოკისაგან. აბდულ რაზიდ ახვერდოვი.

დაშნაკიუტუნის ფრაქციიდან. დ. დავილბანიანი.

გამოდის 18- და თქვენ კი შიილეთ 21.

ალ. ლომთათიძე (აღგლიდან). დიას, სომხების სახალხო პარტიის კანდიდატები არ არის დასახელებული.

თავმჯდომარე ამტკიცებთ თუ არა, ბატონებო, ამ სიას?

სია დამტკიცებული არის.

გრძელდება მსჯელობა სამღვთო სჯულის გაუქმების კანონ-პროექტის შესახებ.

წინა კრებაზე კამათი დამთავრებული არ ყოფილა.

სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ლეო ნათაძე (ს.-დ. მომხს.). ჩემ პირველ სიტყვიდან, მე ვიტყვი, რომ ეს კამათი ჩამეყენებინა იმისთანა ჩარჩოვებში, რომ მას პირდაპირ ჰქონოდა კავშირი მსჯელობის საგანთან. მაგრამ სამწუხაროდ ამას ვერ მივახვნიე, რადგანაც ის ორა-



ტორები, დომელინიე ჩემს შემდეგ გამოვიდნენ ტრიბუნაზე, აყენებდნენ საკითხს მეტის მეტად პარტიულ თვალსაზრისით და ლაპარაკობდნენ ბევრს ისეთ რამეზე, რასაც პირდაპირი კავშირი არა აქვს საკითხთან. მე პირველ სიტყვაში ვითხოვდი, რომ პარლამენტს მეცნიერულად არ დაეყენებინა საკითხი, რომ სამეცნიერულ საკითხს არ შეეხებოდა პარლამენტი, რომ საგანი ჩვენი მსჯელობის ყოფილიყო პირდაპირ სკოლიდან სამღვთო სჯულის გამოცალკეებისა, და სკოლის პროგრამიდან სამღვთო სჯულის ამოშლისა.

ის ორატორები, რომელნიც ჩემს შემდეგ ლაპარაკობდნენ, შეიხნენ სწორეთ იმ საკითხს, რომელსაც ვერიდებოდი, და სწორეთ ამ საკითხს უფრო დიდი ყურადღება მიაქციეს, ვიდრე წმინდა პედაგოგიურ საკითხს, — სამღვთო სჯულის განდევნა სკოლებიდან. ამიტომ მეც იძულებული ვარ იმნაირად დაყენებულ საკითხს ცოტა ანგარიში გაუწიო, და ის საკითხი, რომელიც ჩვენ პირდაპირ შეგვეხება ცოტა არ იყოს, გავწმინდო იმ მსჯელობისაგან, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა.

მემარჯვენებს საზოგადოდ ერთი ცუდი რამ სჩვევიათ, იმათ ჰგონიათ, რომ მაგალითად, მთელი ზნეობა მათ მონოპოლია შეადგენს, და იმათ უდევთ ჯიბეში, და შეიძლება ამ ზნეობაზე ჭკუა გვასწავლონ. ამისთანა უბრალო რამეზე გველაპარაკებინ, როგორიც არის სვინდისი, როგორც არის ზნეობა, ოჯახი და ამისთან აკავშირებენ სამღვთო სჯულის საკითხს: ბატონი აფხაზი, ბ. კელია და ქარუმიძე სამღვთო-სჯულის საკითხში სწორეთ იმ ფარგლებში ვადადიან, ისე დაყენებულია საკითხი, ვითომ ჩვენ, სოციალისტებს გვინტერესებს საშჯეთო-სჯულის განადგურება თითქოს ჩვენ გვინდა სარწმუნოება გავანადგუროთ, ჩვენ გვინდა სარწმუნოების საშუალებით გავანადგუროთ ზნეობა.

და აი ბ. აფხაზმა მთელი ლექცია წაგვიკითხა იმის შესახებ, თუ რა ზნეობა იქნება, თუ რა ცუდ გავლენას იქონიებს სამღვთო-სჯულის განდევნა სკოლის პროგრამიდან და თუ როგორ გავანადგურებს სამღვთო-სჯულის და სარწმუნოების სკოლიდან გამოდევნა ზნეობის განვითარებას, ზნეობას და სხვა. ამნაირად იყო ლაპარაკი, რომ ზნეობა უზნეობის მორევეში გადავისროლეთ.

ბ. კელიამ სინდისის საკითხი დაგვიყენა ჩვენ წინ, და სთქვა სვინდისი-საგან განთავისუფლდება მთელი საზოგადოებაო. ბ. აფხაზმა კი დასძინა, რომ სინდისი ისეთი დიდი მაღლი არის, რომლის განდევნა საზოგადოებიდან არ შეიძლებაო.

ამნაირად მსჯელობდნენ, და მე მგონი ეს არაფერს არ მატებს იმ საკითხის გამოკრევეს, რომელიც ჩვენ პირდაპირ მსჯელობის საგანს შეადგენს.

მე მგონი, რომ მემარჯვენე ორატორები არ აყენებენ ისე საკითხს, როგორც საჭირო არის. მე მგონი, რომ ზნეობის შესახებ, საკითხი აქ სრულიათ არ იდგა, და ვინც ამ საგანზე დაიწყებდა ლაპარაქს, იმათ უნდა სკოდნოდათ, რომ სინდისის და ზნეობის საკითხზე როცა ჩამოვარდება ლაპარაკი, ეს კითხვა სწორედ იქ სწყდება, საცა კითხვა უნდა იყოს დაყენებული, და როცა ამ კითხვას დავაყენებთ, უნდა დავაყენოთ კითხვა, თუ რა არის ზნეობა, რა არის სინდისი? და იმათ ჰგონიათ, რომ ზნეობა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი არის, და ამიტომ შეუძლიანთ მთელ მემარჯვენე ფრთას, ასწავლოს ჭკუა პარლამენტს თუ რამდენად დიდი საკითხია ეს, და თუ რა არის სინდისი და რა არის ზნეობა, ამისი მაგალითი ასეთი მოგვიყვანეს (გაბაშვილი: „რათ გინდათ მაგალითი, თქვენ თითონ მაგალითი არა ხართ. (სიცილი) ყველა მაგალითები ვართ, რასაკვირველია მემარჯვენეც მაგალითია და მემარცხენეც მაგალითები ვართ, ყველა თავის მოსაზრებით.



ბ. კედლიამ სთქვა, თქვენ ყაჩაღობას ჩიიდანით თუ სარწმუნოებას განდევნიით სკოლიდანო, და ეს სიტყვა გაიშეორა თუ არა ვცდები, ბ. ივანიციმ. გაეარჩიოთ მაგალითად, როგორ ესმით ყაჩაღობა მემარჯვენეებს და როგორ გვესმის ჩვენ. ვინ ჩაიღინა ყაჩაღობა ამ საკითხში, ამ საკითხის მსჯელობაში მეტს მიღრეკილობას ყაჩაღობისკენ ვინ იჩინს? ვსთქვათ დარჩეს ისე, როგორც აქამდის იყო, აქამდის კი საკითხი ესე იყო: არიან მორწმუნენი და არიან ურწმუნონი. ვსთქვათ მორწმუნენი მეტს ნაწილს შეადგენენ, მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ამაში დამეთანხმება კედლი, რომ არიან მორწმუნენი და არიან ურწმუნონი. ურწმუნოთ არ უნდათ, რომ მათმა ბავშვებმა ისწავლონ სამღვთო სჯული, მაგრამ იმათ მაინც და მაინც ამ სამღვთო-სჯულის გადასახადს ახდევინებენ, რასაკვირველია ახდევინებენ გადასახადს და ამ გადასახადის საშუალებით ინახავენ იმ მასწავლებლებს, რომელიც ამ სარწმუნოებას ემსახურებიან. მე თქვენ გეკითხებით, —სად არის უფრო ყაჩაღობა? ყაჩაღობაა ის, რომ მოვითხოვთ, რომ ურწმუნოთა ფულით ნუ ინახავენ მორწმუნეთა სამღვთო სჯულის მასწავლებლებს, ან თუ ყაჩაღობა ის არის, რაც აქამდის იყო, რომ ურწმუნოთა ფულით ინახავენ მორწმუნეთა მასწავლებლებს? მე მგონია რომ ყაჩაღობა ჩვენ სხვა და სხვანაირად გვესმის. გაბატონებულ კლასის მესვეურთ ყაჩაღობა სხვანაირად ესმით: დარჩეს ის წესები, როგორც აქამდის იყო. მაგალითად. როდესაც მონობიდან ანთავისუფლებდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში სწორედ აშენიარად მსჯელობდნენ, —როდესაც მესაკუთრეებს მონებს ართმევდნენ. აბოლ-ფუციონისტებს, და არააბოლ-ფუციონისტებს სხვა და სხვანაირად ესმდათ ყაჩაღობა, ასე არის აქაც.

მემარცხენეებს და მემარჯვენეებს სხვა და სხვანაირად გვესმის ყაჩაღობა. მემარცხენე ფრთას ყაჩაღობა ჰგონია ის, რაც აქამდის იყო, და რასაც ჩვენ ვსაბობთ და ვანადგურებთ, მემარჯვენეებს კი ეს ჰგონიათ ყაჩაღობა. (ხმა მემარჯვენეებისაგან: ყაჩაღობაა, რომ მორწმუნეთა ფულით ურწმუნოებს ინახავთ).

**თავმჯდომარე** გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

**ნათაძე.** მემარჯვენეების ფულით სრულიად არავის ვინახავთ; ჩვენ ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს ერთად ერთი მიზანი გვქონდა, რომ სამღვთო სჯული ესწავლებინათ მათ, ვისაც უნდათ, რომ იმათ შეილებმა სარწმუნოებრივი სწავლა-განათლება მიიღონ. ისინი, ვისაც არ უნდათ, რომ სამღვთო სჯული ასწავლონ — ხარჯებისაგან განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ. მე მგონია ნამდვილი სამართლიანი პრინციპი ჩვენ მხარეზეა, და ყაჩაღობა კი თქვენზე. (ხმა: ორი სარწმუნოების ხალხი ვყოფილვართ, როგორც სინს). ბატონმა ქარუმიძემ სთქვა, რომ სამღვთო სჯულს ისეთი ღრმა ფესვები აქვს ხალხში გამდგარი, რომ იმას ვანადგურება პროტესტს გამოიწვევსო. თუ ასეთი ღრმა ფესვები აქვს გამდგარი, მე მგონია, რომ ბატონ ქარუმიძეს არაფრისა არ უნდა ეშინოდეს, არც უნდა ეშინოდეს სამღვთო სჯულის განხილვისას მასწავლებლიდან. ჩვენ ხომ არ ვდევნით სარწმუნოებას, ჩვენ ნებას ვაძლევთ ბ. ქარუმიძე, რომ სამღვთო სჯული ასწავლონ მშობლებმა, მხოლოდ თავის ფულით. და რაც უფრო ღრმა ფესვები აქვს გამდგარი სამღვთო სჯულს, მით უფრო კარგათ იქნება სამღვთო სჯული დაყენებული.

მე უნდა მოვახსენო ბ. ქარუმიძეს, როგორც ისტორიკოსს და პედაგოგს, რომ ეს საკითხი პირველად ჩვენში არ არის დაყენებული, რომ ეს საკითხი დაყენებული იყო ყველა მსოფინავე ქვეყნებში და მე ვიცი და ბ. ქარუმიძემაც უნდა იცოდეს, რომ შეერთებულ შტატებში არ ასწავლიან სამღვთო სჯულს, რომ იქ ეს საგანი სკოლებად ნ გამოკალკევებული არ ს. ი. ი. უნდა იცოდეს

ბ. ქარუმიძემ, რომ იქ სამღვდელოება თავის ღღეში არ იტყვის სარწმუნოებაზე, რომ მას ღრმა ფესვები აქვს საზოგადოებაში და ამიტომ უნდა დარჩეს.

იქაური სამღვდელოება თითონ მოითხოვს, რომ გამოცალკეებული იყოს, სამღვთო სჯული საერთო სკოლებიდან, იქაური სამღვდელოება სწოვოდ ამით სარგებლობს, რომ მართლა საღვთო სჯულს ღრმა ფესვები აქვს საზოგადოებაში გამდგარი და სურს, რომ გამოაცალკევის და უკეთესად დააყენოს და მართლა იქ სამღვთო სჯული სამაგალითოდ არის დაყენებული. მე მგონია, რომ მემარჯვენეებს არამც თუ არ უნდა ეშინოდეთ იმისა, რომ ჩვენ გავდევნოთ სამღვთო სჯული სკოლიდან, არამედ რაკი მას ღრმა ფესვები აქვს საზოგადოებაში თითონ უნდა ითხოვონ, რომ გავდევნოთ სახელმწიფო სკოლიდან და დაარსონ საკუთარი სკოლები და ამ სკოლებში თითონ მოაწყონ სწავლა თავის ხარჯით და საღვთო სჯულის სწავლა რომ იქნება სახელმწიფოს მფარველობიდან განთავისუფლებული, ბევრად უკეთესად იქნება დაყენებული. ბ. ქარუმიძემ დაგვიყენა ისეთი კითხვა: სად გაგიგონიათ, რომ სკოლებიდან იყოს სამღვთო სჯული განდევნილი და მერე იყოს დაყენებული საკითხი ეკლესიის და სახელმწიფოს გამოყოფისა? ბატონი ქარუმიძე თითონ პედაგოგი ბრძანდება და უნდა იცოდეს, რომ ასეთი მაგალითები გვაქვს, რომ არის ქვეყნები, სადაც ჯერ სკოლებიდან იყო განდევნილი საღვთო სჯული და მერე იყო დაყენებული საკითხი ეკლესიისა და სახელმწიფოსი ერთი ერთმანეთისაგან დაშორებისა. ეს მაგალითი იყო საფრანგეთში, სადაც სკოლებიდან 1872 წელს იყო განდევნილი სარწმუნოება და ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან იყო მხოლოდ 90 წელს, ესე იყო დაყენებული საკითხი, ასე რომ ეს მოხდა 25 წლის შემდეგ, ეს ისტორიული საბუთია, ბატ. ქარუმიძე!

მერე კიდევ ამ საკითხს მისცეს ფორმალური მხარე. ბ. კედია გვითხრა, რომ ხალხისთვის თქვენ არ გიკითხავთ უნდა, თუ არა ეს განცალკეება ეს განდევნა სამღვთო სჯულისა სკოლებიდან.

ჩვენ საქმე ისე გვაქვს წარმოდგენილი, რომ ჩვენ თითონ ვართ ხალხის წარმომადგენელი, ჩვენ თითონ გამოვხატავთ იმ სურვილებს, რომელიც ხალხს აქვს. ჩვენი დემოკრატები ამ პარლამენტისა, საზოგადოდ ეს პარლამენტი არის საზოგადოდ ხალხის სურვილების გამოხატველი და თუ ამ პარლამენტის უმრავლესობას სურს, რომ სამღვთო სჯული ამოშლილი იყოს სკოლების პროგრამიდან, მაშასადამე ხალხი ამას უნდა თანაუგრძნობდეს და ეს არის ყველა პარლამენტის აპრიორული პრინციპი, რომელზედაც ის ემყარება და თუ ეს აპრიორული პრინციპი ჩვენ არ მივიღეთ ბატონებო, ყველა საკითხის შესახებ შეიძლება წამოდგეს ბ. კედია და სთქვას, რომ თქვენ ხალხს უნდა დაეკითხოთ, უნდა რეფერენდუმი გამართოთ. რასაკვირველია, ყველა საკითხზე ვერ გავმართავთ რეფერენდუმს. ჩვენ რეფერენდუმს გავმართავთ მხოლოდ უდიდეს საკითხებისთვის. (კედია აღვილიდან: ამაზე უდიდესი საკითხი რაღა განსაზღვრავთ?) ამაზე უდიდესი საკითხები ბევრი განსაზღვრავთ, ამაზე უდიდესი განსაზღვრავთ, როდესაც ეკლესიის გამოყოფის კითხვა დავგვიანდება ჩვენ წინ.

აი, როდესაც დასდება ჩვენ წინაშე საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა, მაშინ შეიძლება კიდევ უფრო შეებრძოლოთ, მაშინ გეგნებათ თქვენ საშუალება განავითაროთ და უფრო გააღრმავოთ ეს საკითხი. აქ კი, მე მგონია, რომ ეს საკითხი ისეთი დიდი არ არის და რეფერენდუმი მოსატანი არ არის (გეშაპელი: მაშინ მიმართავთ რეფერენდუმს?) რეფერენდუმი ყოველ საკითხის გამო შეუძლებელია და ჩვენ, რომ ვსთქვათ: რეფერენდუმს მიჰმარ-



დეთ“, რასაკვირველია, უმცირესობა ამის წინააღმდეგ წავა, რადგანაც ეს იმისათვის ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელია:

ბ. კედამ სთქვა, რომ ეს კანონ-პროექტი, რაღაც სისწრაფით და სიშმაგით არის შემოტანილი და ვატარებულო. ბ. კედამ, რომ დაჰკვირვებოდა კანონ-პროექტს—დანახავდა, რომ ეს კანონ-პროექტი მეტის სიფრთხილით და იმნაირ კომპრომისით არის შედგენილი, რომელიც უმრავლესობის ფრთას არ სჩვევია. თქვენ მოისმინეთ, რომ კომპრომისი არის შეტანილი მუსულმანების სკოლებისთვის. თქვენ მოისმინეთ, რომ 5—6 მუხლები, არის ნამდვილი კომპრომისი. თქვენ მოისმინეთ 4 მუხლი, სადაც არის ნათქვამი, რომ მშობლები, რომელნიც მოსურვებენ თავის ხარჯით ასწავლონ სამღვთო სჯული: მათ მიეცემათ ნება სკოლების შენობით ისარგებლონ. (კედამ: ქრისტიანებმა რა დაგიშავეს?) ჩვენთვის ესეც კომპრომისია, თუ გნებავთ სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის აზრი.—ჩვენ, რასაკვირველია, რელიგიას და სარწმუნოებას მაინც მოვლენად ვთლით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ სიფრთხილედ გამოვიჩინეთ და ამიტომ კომპრომისი დავუშვით. ამის და მიუხედავად თქვენ კიდევ მაღლობები არა ხართ და ამბობთ, რომ სისწრაფე და სიშმაგე ჩაიდინეთ ამ კანონ-პროექტის ვატარებაში. თუ ჩაკვირდებით მესამე მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ შტატ გარეშე დატოვებულ სამღვთო სჯულის მასწავლებლებს მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. 5 ივლისს გამოცემულ კანონის მიხედვით,—თქვენ დარწმუნდებით, რომ ესეც არის ერთგვარი კომპრომისი.

მაშასადამე თუ სამართლიან ნიადაგზე დადგებით, თუ არ გინდათ უეჭველად ძველი წესი მოგახვიოთ, არაერთარ ახალ რეფორმის ვატარებას საშუალება არ მოგვეცემა, მაშინ უნდა დაგვეთანხმობთ, რომ 3, 4, 5, 6 ეს სრული კომპრომისიული მუხლებია. და თქვენ თავის დღეში ვერ იტყვი, რომ ეს კანონ-პროექტი სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ სისწრაფით და სიშმაგით არის ვატარებული.

ბ. კედამ არ იცის, რამდენი ხანი ვატარებთ ამ კანონ-პროექტს. მოგახსენებთ რამდენ ხანს ვატარებთ. შარშან კომისიარატის დეკრეტი იყო და მთელი წლის განმავლობაში ამ რეფორმის შესახებ ვფიქრობდით, მაგრამ რადგანაც ჩვენ სხვა და სხვა მოსაზრება გვაქონდა, რადგანაც ამ კანონ-პროექტის სხვა და სხვა მოსაზრების გამო, ვატარება არ შეიძლება, ჩვენ ამას ვერ ვავატარებდით მაშინ ჩვენ ვერ ვიკისრეთ ინიციატივის აღება. ეხლა, როდესაც პარლამენტი გვაქვს და პარლამენტს შეუძლიან კანონ-პროექტი გაატაროს,—რატომაც არ უნდა ვავატოთ ის, რაც საჭიროდ მიგვაჩნია.

სიშმაგის შესახებ მოგახსენებთ. კომპრომისებით საესეა კანონ-პროექტი და საცა კომპრომისი არის—იქ სიშმაგე არ შეიძლება იყოს.

მერე კიდევ ორი ფორმალური მოსაზრება. ბ. ივანიკიძემ სთქვა, რომ ეს საკითხი სარწმუნოების კომისიაში უნდა ვატარდეს და მან უნდა განიხილოს. მე კიდევ მოგახსენებთ, რომ ეს საკითხი—სარწმუნოების საკითხი არ ვახლავთ, ეს სარწმუნოებას არ შეეხება. ეს საკითხი არის წმინდა პედაგოგიური საკითხი და როგორც პედაგოგიური საკითხი სრულიად მოვალენი არ ვიყავით სარწმუნოების კომისიაში შეგვეტანა. ჩვენ ხომ არ ვიხილავთ იმ საკითხს, რომ კარგია თუ არა სარწმუნოება?

მაგრამ ვაჭივრდეთ თქვენს თვალსაზრისზე და ვსთქვათ სარწმუნოებაზე. სარწმუნოება ძალიან კარგი მოვლენა არის, მშვენიერი სწავლა არის. მე მოგახსენებთ კედამ, თუ ჩიდილ ე. აშქრიკაში სამღვდლოებამ როგორ გადასჭრა



ეს საკითხი. სამღვდლოება იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ სარწმუნოების  
სსკითხი უნდა გამოცალკეებულყო სკოლიდან

თქვენ, ბატონებო, გამოგავთ ისეთი ორატორები, რომელთაც ამ საკით-  
ხში სრულიად არაფერი არ გაეგებათ. აი, თქვენ მოუსმინეთ იმ ორატო-  
რებს, რომლებმაც აქ ილაპარაკეს, და რომელთაც ეს საკითხი სრულიად ახალ  
რამედ მიანიათ. მოისმინეს კანონ-პროექტი და ისე ჰგონიათ, რომ მათ ახალი  
რამ აღმოაჩინეს. ისინი სრულებით არ დაფიქრებულან ამ კანონ-პროექტზე.  
მათ ეს სულ ახალი რამ ჰგონიათ, ის კი არ იციან, რომ ეს საკითხი სხვა უფ-  
რო მოწინავე ქვეყნებში არის დაყენებული. (ხმა: რისთვის არის სარწმუნოების  
კომისია დაარსებული?) სარწმუნოების კომისია განსაკუთრებით იმისთვის არის  
დაარსებული, რომ სარწმუნოების საკითხი განიხილოს. აქ კი ჩვენ წინაშე მარ-  
ტო პედაგოგიური საკითხი არის, სხვა არაფერი საკითხი არ გვაქვს. პედაგო-  
გიურ თვალსაზრისით საქირო არის თუ არა სამღვთო სჯულის სწავლის დატო-  
ვება სკოლაში, საქირო არის თუ არა სამღვთო სჯულის პროგრამიდან გამო-  
თიშვა? აი როგორა გვაქვს საკითხი დაყენებული. სრულიად ტყუილად დაეპო-  
ტინებით ხოლმე ამ საკითხის, როგორც განდევნას, განადგურებას სინდისისას,  
როგორც განთავისუფლებას სინდისისაგან. სინდისსხედ, სულზე ზედმეტია აქ  
ლაპარაკი. ეს ლაპარაკი გამომდინარეობს ერთნაირ შიშისაგან და ეს კი, რო-  
გორც იცით დედაბრული შიშია. ხშირად გაიძახიან: „სოციალიზმი ანადგურებს  
ოჯახს“-ო. სოციალიზმი არ ვიცო რას ანადგურებს, მაგრამ ამნაირი შიში კი  
ანადგურებს ოჯახსაც და სარწმუნოებასაც. ყველა ამაზე პასუხის მიცემა ძა-  
ლიან სასაცილოა და ძალიან ადვილია, მაგრამ ეს ყველაფერი აქ მოსატანი არ  
არის. ყოველთვის ამნაირ ბრალდებებს სოციალიზმესკენ ისროდნენ მესვეურნი  
გაბატონებული კლასებისა და კლერიკალები, და სუყოველთვის ერთი და იგი-  
ვე პასუხს იღებდნენ. თქვენ ახლა ამ პასუხის გამეორება გინდათ. გვეტყვიით  
სოციალიზმი ანადგურებს ოჯახს და ზნეობას, ჩვენ გეტყვიით ახლანდელი მდგო-  
მარეობა ანადგურებს ოჯახსაც და ზნეობასაც, სოციალიზმი კი ემყარება ქეშმა-  
რიტებას. მართალია სოციალიზმი ანადგურებს დახვსებულ ზნეობას, რომელიც  
სასიამოვნოა თქვენთვის, ანადგურებს ზნეობას, რომელსაც ფესვები აქვს მხო-  
ლოდ წარსულ საუკუნოებში. იმის მაგიერ შემოაქვს ახალი ზნეობა, რომელსაც  
უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელიც ვადაჟიზებს ზნეობას, იმ ზნე-  
ობას, რომელიც უფრო შეეფერება მალალ საზოგადოებას და არა დაბალ სა-  
წოგადოებას. მე კიდევ გავიმეორებ, რომ ეს კიდევ დედაბრულ შიშისაგან გა-  
მომდინარეობს, ეს შიში, რომ ვითომც ოჯახს, ზნეობას და რაღაცას ანადგუ-  
რებს, ეს პირდაპირ დედაბრული შიში არის.

ახლა ჩვენ გადავიდეთ პირდაპირ საკითხზედ. საქირო არის თუ არა  
პედაგოგიურ თვალსაზრისით, რომ სარწმუნოება განიდევნოს სკოლდან, რომ  
სამღვთო სჯულის სწავლება განიდევნოს სკოლების პროგრამიდან, რომ  
სკოლაში არ ისწავლებოდეს ეს სამღვთო სჯული?

ბატონი აფხაზი ამას შეეხო და აი როგორ სფეროში დაყენა კითხვა:  
ჩვენ რომ დავაშოროთ ზოგიერთი რამ სამღვთო ხეულს, ჩვენ რომ დავაშო-  
როთ ლოცვების სწავლა ზოგიერთი დოგმების, სწავლა დახარჩენი ისეთი რამ  
დარჩება სამღვთო სჯულში, რისი სწავლაც საქირო არის. წარსულ კრებაზე მე  
მაგალითები მოგახსენეთ, და მე მგონია, ყველამ იცის სამღვთო სჯულის პრო-  
გრამა რაში მდგომარეობს. მე უფრო ვრცლად შეგებები საკითხს, თუ რა არის  
გაოსტატებელი სამღვთო სჯულისაგან სკოლებში და რა ა-ის რას დარჩენი.

აიცილოთ, მაგალითად, უცხოური კლასები. თქვენ ყველას გისწავლიათ, რა-



საკვირველია, ამ დაბალ, ამ საშუალო სკოლებში. ყველას გისწავლიათ საშუალო სკოლების უმცროს კლასებში, და ყველამ იცით, რომ სამღვთო სჯულის გაკეთილები მხოლოდ ლოცვების გაზეპირებაა. ბ. აფხაზი დავითიანხმება, რომ უნდა განდევნილი იყოს ეს ლოცვები, რადგანაც ლოცვები გაუგებარია და ბავშვის გონება მას ვერ შორევა. ბავშვისა კი არა მე დარწმუნებულა ვარ ბევრი თქვენთაგანიც ვერ შეუბეძება ლოცვების აზრს, რადგანაც ეს ლოცვები მე-17-ტე საუკუნეში იყო პირდაპირ ბარბაროსულად გაღმერთაგმნილი. მე ეხლა, ცოტა მეტი დრო რომ მქონდეს, შემეძლო დამეშტკიცებინა, რომ ამისთანა უაზრობა არის შეტანილი მართო იმიტომ, რომ მთარგმნელს ტექსტი ვერ გაუგია, ისეთი თარგმანი გაუკეთებია დედანიდან, რომ გერავითარ აზრს ვერ გამოიტანთ იმდენი არე-დარევა არის შეტანილი. მე თქვენ მოგახსენეთ, რომ ყველაზე დიდი საგანი უმცროს კლასებში არის ლოცვები, და ლოცვების გარდა კიდევ შედის ძველი ალთქმის ისტორია (ხმა: ბატონო, თქვენ ქართულ ლოცვებზე ლპარაკობთ თუ რუსულზე?) ქართულ ლოცვებზე ვლაპარაკობ. მე თქვენ მოგახსენებთ, რომ თქვენ, მშობლებიც კი ვერ გაიგებთ ლოცვის აზრს. ბევრი ვიცი ამისთანა არის, და თქვენი შვილები მით უმეტეს ვერ გაიგებენ (ხმა: თქვენ ლოცვები უკვე დაგვიწყებიათ! ხმაურობა: თქვენ მარჯშე ლოცულობთ, ახალ ღმერთებზე ლოცულობთ.) რასაკვირველია, გონების დასაშხამავად თქვენთვის ძველი ლოცვები უჯრო მოსახერხებელია, ვიდრე ახალი. ჩვენ ძველი ლოცვები საზოგადოთ საქიროდ არ მიგვაჩნია. თუ თქვენ დაუმატებთ, რომ ლოცვების გარდა კიდევ ასწავლიან ძველი ალთქმის ისტორიას ამ ზნეობის გასადაქიზებლად, რომელზედაც აქ ლაღადებდნენ, ძველი ალთქმის ისტორია, მე მგონი სრულიად არ იგარგებს, რადგანაც წარმოადგენს მითოლოგიას. რასაკვირველია ეს მითოლოგია უნდა ასწავლიან, როგორც ნამდვილი მითოლოგია და რაღაც დოგმატიკური, რომ რაც ჩვენ პირდაპირ უნდა ვიწამოთ, რაშია ჩვენ არავითარი კრიტიკა და ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. (ხმა: ათი მცნება?) ძველი ალთქმის ისტორია აცნობებს ბავშვებს, თუ როგორ გაჩნდა ქვეყანა. ბავშვს დაებადება აზრი, თუ ქვეყანა ესე გაჩნდა, ბუნების მეტყვეობა მასზე რას ვგეუბნება? ვგეუბნება, რომ ქვეყანა ისე არ გაჩენილა, რომ ქვეყანა არის რეგულირების ნაყოფი, (გრ. ვეშაპელი: სხვა და სხვა თეორიებია არის!) თუ თქვენ დაუბატავთ ბავშვს ღმერთს, ძველ ალთქმაში, როგორც არის დახატული. ბავშვი რასაკვირველია გამაფაქიზებელ და ზნეობის ამმალღებელ გავლენას ვერ მოიპოვებს, რადგანაც ღმერთი მრისხანე ჯოჯუტ აღამიანსავით არის წარმოდგენილი, რომელიც გაბრაზების და თავის უფლების გამოსაჩენად, იმისთანა რამეებს იღენს, როგორც მავალითად, ვაშლს ნუ სჭამო, ამის გულისთვის ხალხს სჯის და ამის გულისთვის ხალხს ღუპავს. (ხმა: ათ მცნებაშია: ნუ მოიპარავთ, ნუ იტყუებთ.) ათი მცნება ასწავლის იმას, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. სამღვთო სჯულში ბავშვი ღმერთს ეცნობა, როგორც მეტად მრისხანე არსებას, რომელიც ებრძვის ისეთ აღამიანსაც კი, როგორიც არის ღმობიერებით მოსილი აბრამი. ხოლო, როდესაც აბრამი აიშვერს ხელს და უნდა დააკლას თავის შვილი ისაკი, იგი ხელს უჭერს. ყველა ეს უღვიძებს ბავშვს გულში საძაგელ გრძობებს და აზრებს. რა მონობის ინსტიტუტებს და მონობის სულიერ განწყობილებას გაუღვიძებს ბავშვს გულში, როდესაც ამისთანა რამეებს ვასწავლით და ამისთანა რამეებს ვგუბნებით. თუ მალა აეალო პირველ და მეორე კლასში, თქვენ დამეთანხმებით, იმ კლასების პროგრამა არ შეიცავს ისეთს, რაც ბავშვისთვის სასწავლებელია და სასარგებლო. ეს არის ველი და ახალი ისტორიის ალთქმა.

მესამე კლასში ასწავლიან ღვთის მსახურების წესს, რასაკვირველია ეს სკოლისთვის საჭირო არის. რასაკვირველია ბ აუხაზი დამეთანხმება, რომ კატეხიზის სწავლა იმ სახით, როგორც აქამდის ასწავლიდნენ საჭირო არ არის.

გადავიდეთ ეხლა მეხუთე—მეექვსე კლასის პროგრამაზე, მეხუთე—მეექვსე კლასის პროგრამა არის ეკლესიის ისტორია. ეკლესიის ისტორია, როგორც უკვე მოგახსენიეთ საჭირო არის, მაგრამ როგორც ისტორიის ნაწილი და არა ისე, როგორც ღვთის მიერ წინასწარ დასახული ისტორია.

რაც შეეხება მეშვიდე და მერვე კლასის პროგრამას ეს არის ზნეობის და სარწმუნოების სწავლას, მაგრამ გადაათვალიერეთ ის პროგრამა, გადათვალიერეთ შინაარსი სარწმუნოების და ზნეობის სწავლისა და დაინახავთ, თუ რა ზნეობას, რა სარწმუნოებას ვასწავლიდით ბავშვებს. მთელი ზნეობა, ზნეობის სწავლა დამყარებულია იმაზე, რომ კაცი უნდა დაემორჩილოს ღმერთს, კაცი უნდა დაემორჩილოს თავის მეფეს მირონ ცხებულს, ბრმად, უკრიტიკოდ, დაემორჩილოს დედ-მამას, სულ დაემორჩილოს, დაემორჩილოს, დაემორჩილოს. (ხმა: სოციალ-დემოკრატებს დაემორჩილოს!) მე მგონია, ვერც ერთი თქვენგანი ვერ იკისრებს იმის მტკიცებას, რომ მისაღებია ზნეობრივი მოძღვრება, როგორც აქამდის ასწავლიდნენ სასწავლებლებში, რაც უნდა ბევრი ილაპარაკოთ. (ხმა: მთავრობას ხომ უნდა დაემორჩილოს!) მთავრობასაც ისე, უკრიტიკოდ, როგორც აქამდის არ უნდა დაემორჩილოს. (ხმა: პარტიას?) დემოკრატიულ მთავრობას თქვენ არ დაემორჩილებით, იმისთანა მთავრობას, რომელიც თქვენ მიმდევრებისაგან არ შესდგება არ დაემორჩილებით. რასაკვირველია, თქვენ არ იქნებით თანახმა, რომ ყოველ მთავრობას დაემორჩილოთ, მაგრამ თქვენ თუ ჩადგებით მთავრობაში, უსათუოდ მოითხოვთ, რომ თქვენ მთავრობას დამორჩილდნენ უკრიტიკოდ. (ხმაურობა.)

**თავმჯდომარე.** გთხოვთ ადგილიდან წუ ლაპარაკობთ.

**მომხსენებელი:** ამ რიგად, ეს მაგალითი ჩვენ გვიჩვენებს, რომ ყველაფერი ის, რასაც აქამდის ასწავლიდნენ საღვთო სჯულის სახით, ყველა ეს პროგრამიდან გამოსატოვებელია. თქვენ თითონ გაიძახოდით ამ ტრიბუნიდან, ბატონი აუხაზი და ბატონი კედია ბრძანდებოდნენ, რომ, რასაკვირველია, უნდა გადასინჯოს ახლად პროგრამა, რასაკვირველია, უნდა მივაწოდოთ პროგრამით ისეთი რამ, რაც პედაგოგიურ მოსაზრებით საწინააღმდეგო არ არის. განვიხილოთ ჩვენ სთანადოდ ყველა პუნქტი იმ პროგრამისა, რასაც საღვთო სჯულში ასწავლიდნენ და თქვენ დამეთანხმებით და თქვენ თითონ ამის მომხრე იქნებით, რომ განიდევნოს სუყველა მუხლი საღვთო სჯულის პროგრამიდან და ქვა ქვაზე აღარ უნდა დარჩეს, რასაკვირველია, ისევ თქვენი აზრით, ოღონდ კი დასთანხმდებით ამას, რომ სამღვთო სჯულის პროგრამა უკადრისაგან იყოს, მაშინ დაინახავთ, რაკი გადასინჯვას დავიწყებთ, სრულიად ნატამალი სამღვთო სჯულის სწავლისა ამ პროგრამაში არ დარჩება. იქნება ჩვენ უფრო მეტი დეტოვით ვიდრე თქვენ, მხოლოდ სულ სხვა სახით. ავიღოთ მაგალითად, თქვენ ძალიან გიყვართ ქრისტეს მოძღვრება, ქრისტეს ახალ აღთქმის მოძღვრება. ქრისტეს მოძღვრება შეიცავს ბევრს იმისთანა რამეს, რაც ეხლანდელ მორალს არ მიუღდება, მაგრამ იგივე მოძღვრება შეიცავს ბევრს იმისთანა რამეს, რაც ახალ მორალისთვის მისაღებია. ის, რაც მისაღებია დღევანდელ მორალისთვის, შესაძლებელია, რასაკვირველია, დარჩეს; დარჩება მხოლოდ ის მორალი, რომელიც საზოგადოდ ძველში და რბილშია გაზეადარი. რაც გინდა საგანი აიღეთ ისტორია, ლიტერატურა, ის მორალი, რომელიც ჩვენ ღირებულად მიგვაჩნია: ის დარჩება, ის მორალი შედის ლიტერატურის სწავლაში, ფილოსოფიის სწავ-



ლაში, ისტორიის სწავლაში. ასე რომ ცალიერ ადგილის დარჩენას, რომელიც ასე აწინებს მეპარჯენე ორატორებს, მე მგონი, ადგილი არ ექნება, რადგანაც თუ საღვთო სჯული გამოვდენეთ სკოლის პროგრამიდან, ცალიერ ადგილს ჩვენ სრულიად არ დავტოვებთ, შევიტანთ იმის ალაგას სპეციალურ სწავლას ამ საათებში, როცა საღვთო სჯულს ასწავლიდნენ. როგორც მოგახსენეთ, ამაზე მოვილაპარაკებთ, მაშინ, როდესაც სასწავლო პროგრამაზე გვექნება ლაპარაკი. მაშინ თქვენც მოინდომებთ ისეთ რამის შემოტანას, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგობით. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე ლაპარაკი არ გვაქვს. ჩვენ ლაპარაკი გვაქვს სპეციალურ საღვთო სჯულის სწავლებაზე, თუ რა გავლენა აქვს მას პედაგოგიურ საკითხში, ჩვენ ვამბობთ, რომ მას ძალიან ცუდი გავლენა აქვს, თქვენ კი ამბობთ, რომ კარგი გავლენა აქვს, თუ თქვენ დავგიმტკიცებთ, რომ არის ისეთი მხარე საღვთო სჯულის პროგრამაში, რომელიც საღვთო სჯულიდან არ უნდა გამოიდევნოს, რომელიც აუცილებლად საჭირო არის, დარჩეს, მაშინ ჩვენ მოგახსენებთ, რომ ამის დატოვება არის საჭირო არა საღვთო სჯულის სახით, არამედ სხვა მეცნიერებასთან დაკავშირებით.

აი ეს მოსაზრებანი გვექონდა, როცა ეს კანონ-პროექტი შემოგვექონდა აქ.

აქ კი ვამოდიან ისეთი ორატორები, რომელნიც სრულიად დანტერესებულნი არ არიან პედაგოგიურ საკითხში; აქ გამოვიდნენ ისეთი ორატორები, რომელნიც თვითონ პედაგოგები არიან, რომელთაც მშვენივრად იციან თუ რა მნიშვნელობა აქვს საღვთო სჯულის სწავლებას, როგორც დაბალ სასწავლებლებში, ისე გიმნაზიაში, საშუალო სასწავლებლებში, და ალბად ბატონი ქარუმიძე, როგორც პედაგოგი, ერთხელაც არ დათქრებულა თუ რა ძალიან დიდი ვნება მოაქვს ბავშვებისთვის საღვთო-სჯულის სწავლას. მე მგონი, ბატონ ქარუმიძე ფრაქციული ორატორი რომ არ ყოფილიყო, და შეეხებოდა საქმისთვის არა ისე როგორც დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატს, (ხმა: ნაციონალ-დემოკრატს), არამედ როგორც პედაგოგს, მაშინ გულზე ხელის დადებით იტყოდა, რომ იმ ორატორებს, არა პედაგოგებს, რომელნიც აქ ვამოდიან [და ლაპარაკობენ პირდაპირ საქმეში ჩაუხედავად, პედაგოგიურ საკითხში არაფერი ვაგებთ. მათ ლაპარაკიდან ეს გამოსჷვიოდა. აქ პედაგოგიური, მეცნიერული საკითხი არ იყო, აქ, თუ გნებავთ, დილეტანტური საკითხი იყო, ისეთი საკითხი რომელსაც ყოველ დღე წიგნებში ვკითხულობთ. აქ ისეთი საკითხი არის დაყენებული, რომელზედაც ყოველი, ცოტად თუ ბევრად პროგრესიული და განვითარებული ადამიანი უთუოდ დაგვეთანხმება, ყველა დაწინაურებული ქვეყანაში მიღებულია, ყველა დაწინაურებულ პარტიას აქვს შეტანილი თავის პროგრამაში, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოცალკეება არის მეორე საფეხური. ხოლო ის, რომ საღვთო სჯული თქვენ განდევნოთ სასწავლებლო პროგრამიდან ეს ერთი სახეა, ერთი ნაბიჯი სარწმუნოების და ეკლესიის ერთი ერთმანეთისაგან გათიშვისა.

ბატონ კედიამ ბრძანა, მე მომხრე ვარ, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერთი ერთმანეთს გაეთიშონო. მეც წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ ბატონ კედიას პარტიას აქვს თავის პროგრამაში შეტანილი ეს გამოცალკეება, და ბატონ კედიამ რომ ჩაკვირებულყო, თუ რა კავშირი აქვს ამ ორ საგანს, მაშინ დავეთანხმებოდა, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოკლება შეუძლებელია უიმისოდ, თუ კი სკოლა არ გამოირდება ეკლესიას. და თუ თქვენ გნებავთ, თუ მომხრე ხართ, რომ ეკლესია ჩამოშორდეს სახელმწიფოს, თქვენ გულწრფელად

უნდა დაიცვათ ეს კანონ-პროექტი, რომელიც აღიარებს, რომ ეკლესიის საკითხში სამღვთო-სჯული უნდა გამოიღვენოს პროგრამიდან. მემარჯვებები ჩვენ გვაყვებოდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები არღვევენ თავიანთ პროგრამასო. ეხლა ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნათ, რომ ისინი თავით არღვევენ თავის პროგრამას. და თუ როდისმე სოციალ-დემოკრატებმა ქაღალციონ თავის პროგრამა, მაშინ გვიკვირონ. ამ შემთხვევაში კი მემარჯვებები არღვევენ თავის პროგრამას. და ნება მოგვცით ჩვენ, რომ, თუ არ უკუიწით, მიუთითოთ მაინც. (ხმა: საკითხზე ილაპარაკეთ).

მეორე საკითხი, რომელიც იპყრობს ჩვენ ყურადღებას, ეს არის საკითხი შარიატის შესახებ. მე უკვე მოგახსენეთ რა მოსაზრებას დავადექით შარიატის შესახებ. თუ ეს მოსაზრება, რასაკვირველია, არ გაქაყოფილებთ, თუ გინდათ ერთნაირი პრინციპი გაატაროთ, როგორც ქრისტიანებისთვის, ისე არა ქრისტიანებისთვის, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ, არავინ არაფერს იტყვის საწინააღმდეგოს, უ. ი. ამ კანონ-პროექტის მეხუთე-მეექვსე მუხლის შესახებ. ხელოვად მე გგონი, ამის შესახებ მაშინ ვიჭონებთ ლაპარაკს, როდესაც ჩვენ მუხლობრივ განხილვაზე გადავალოთ.

**თავმჯდომარე.** არის რამდენიმე წინადადება შემოტანილი, ვთხოვთ წაიკითხოთ.

**მდივანი.** (კითხულობს) წინადადება სპირიტონ კედისი.

ა) «წინააღმდეგ წინა მდებარე კანონ პროექტი არ გარჩეულია პარლამენტის სარწმუნოების კომისიაში, ამიტომ იგი უნდა გადაეცეს ამ კომისიას განსახილვად».

**ერ. დემ. ფრაქცია.**

ბ) წინააღმდეგ ხმაობით არავითარი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ინტერესი არ მოითხოვს ნაჩქარევად საღვთო-სჯულის გაუქმებას საქართველოს სკოლებში და ვინაიდან ამ საკითხს შეუძლიან ხალხში დიდი ამოქოვება გამოიწვიოს, უკეთეს იგი გადაიტია ხალხის წინსწარ დაუკითხავად, — ამიტომ ეს საკითხი ხალხის დასაკითხავად უნდა იქნას გატანილი მომავალ საარჩევნო კამპანიაში და გადაჭრა შეინდოს დამფუძნებელ კრებას.

**სპირიტონ კედია. ერვ. დემ. ფრაქცია.**

**მდივანი.** არის სხვა წინადადება, წავიკითხოთ თუ არა (ხმა: გავეცნოთ) (კითხულობს)

**დამოუკიდებელ-ერვანულ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან.**

«სამღვთო სჯულს სწავლების გაუქმების კანონ პროექტი გადაეცეს განსახილველად სარწმუნოების კომისიას».

**დამოუკიდებელ ერვანულ-დემოკრ. ფრაქცია.**

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე ამ პირველ წინადადებასა? (კენჭის ყრა) პირველი წინადადება უარყოფილია. წინადადება მეორე, იგივე ბატონ კედისი, კენჭს უყრი. ესეც უარყოფილია.

შემდეგი წინადადების განხილვა იქნება, როდესაც მუხლობრივ განხილვაზე გადავალოთ. ვინ არის მომხრე, რომ მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ. მიღებულია.

უკვე სამი საათია და დრო არის; რომ გავათავოთ კრება.

ვინ არის მომხრე, რომ განვაგრძოთ კრება. (კენჭის ყრა) კრება ვრძელდება. ვთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

**ნათამე.** (კითხულობს პირველ მუხლს) ყველა ტიპის და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სასწავლებლებში მოისპოს სამღვთო სჯულის სწავლება და გაუქმდეს სამღვთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა.



**თავმჯდომარე.** გთხოვთ, თუ შესწორება გაქვთ, წერილობით შემოიტანოთ, პარლამენტის წევრი ფაღვა აკაკი.

**აკაკი ფაღვა.** (ს. ფ.) ბევრი ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ, ზოგად დებულების განხილვის დროს, მოვახსენებთ, თუ რა ავიღასზრასით ვუყურებთ ამ კანონ-პროექტს.

რაც შეეხება პირველი მუხლის იმ რედაქციას, როგორც არის ამ კანონ-პროექტში, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან იგი საფუძვლად უარყოფს სწავლას და ეს კი თითონ ამ კანონ-პროექტის წიგნით მუხლს ლოლიკურად ეწინააღმდეგება, სადაც იმავე დროს არის ნაგარაუდღევი სამღეთო სჯულის სწავლება. პირველ მუხლში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებელში მოისპოს სამღეთო სჯულის სხვალდებულო სწავლება და გაუქმდეს სამღეთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა. აი ეს შესწორება შემაქვს ჩვენ ფრაქციას.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის რვეზ გაბაშვილს.

**რვეზ გაბაშვილი.** (დამ. ერ. დემ.) ბატონებო, სამწუხაროდ, ეს კანონ-პროექტი უწრაფესობამ მიიღო და მუხლობრივ განხილვაზე გადავიდით. პირველ მუხლში სწერია: ყოველ ტიპისა და საფეხურის საბაზინო და კერძო უფლებიან სკოლებში გაუქმდეს სამღეთო სჯულის სწავლება და სამღეთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა.

აქ ბევრი იყო ნათქვამი საზოგადო მოსჯელობის დროს, რომ სამღეთო სჯულის განდევნა სკოლიდან შიგნით იმას, რომ სკოლიდან უნდა იყოს განდევნილი არა მარტო სამღეთო სჯულის სარწმუნოებრივი ნაწილი, არამედ ზნეობრივი კანონებიც იმით, რომ ჩვენ სამღეთო სჯულის სწავლების დროს, ბავშვებს ასწავლიან ზნეობრივ კანონებსაც. მაგალითად: ჩვენ ვიცით, რომ სამღეთო სჯულში შედის არა მარტო ლოცვები, რომელზედაც აქ ლაპარაკობდნენ, არამედ შედის ათი მცნებაც. მართალია, ბატონი მომხსენებელი სთვლის, რომ ზნეობა ისეთი რამ არის, რომელიც ყველას სხვა და სხვანიარად ესმის მაგალითად მოიყვანა ყაჩაღები, ერთი ერთხანიარაო, მეორე მეორეხანიარაო, რასაკვირველია, ეს იმის გემოვნებაზე არის დამოკიდებული. მაგრამ ათ მცნებაში არის ნათქვამი მაგალითად, არ უნდა მოიპარო. არ ვიცი რანაირ ისტორიაში, რომელი ფილოსოფიაში არის მოყვანილი ის კანონი, რომლითაც უნდა ვასწავლოთ ბავშვს, რომ ბავშობიდანვე შეითვისოს ასეთი მცნება, რომ მოპარვა არის საზიზღრობა, რომ ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც არ შეეფერება ბავშვებს. სხვალდებულო არის, რომ ბავშვში არ მოიპაროს, მაგრამ ეს უნდა გაგვიზინოს ვინმემ (სიცილი. ხმა: სახლში ასწავლიან) და თუ ამას არ გავაგვირინათ, მაშინ იმისთანა მდგომარეობაში ვიქნებით, როგორც ვართ ეხლა, როდესაც მოპარვა, წართმევა, ყაჩაღობა პრაქტიკაში ისე არის შექმნილი, რომ ამის გარჩევა სოციალ-დემოკრატებს არა აქვთ—ყაჩაღობა არის, თუ არა.

მეორე მცნება, რომელიც ამავე ათ მცნებაში არის და სადაც ნათქვამია უნდა მოკლათ კაცი, ამას, რასაკვირველია, ლოცვიდან კი არ ამოიკითხავენ, ამას ათი მცნებიდან ამოიკითხავენ. ბავშობიდან ეს შესისხლხობრცებულია ადამიანში. ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ყოველ დღე ხდება კაცის კვლა და როდესაც თქვენ სკოლიდან განდევნით და ბავშვს არ შეასწავლით ზნეობრივ კანონებს, მაშინ მიიღებთ იმაზე უარეს მდგომარეობას, რამდენადაც ეხლა ვართ, ყოველ ნაბიჯზე კაცის კვლა ხდება. ასეთი ზნეობრივი მცნებანი ბევრი არის ჩამსოვილი სამღეთო სჯულის გაკვეთილებში, რომელსაც ჩვენ ვვასწავლიდნენ და უშუალოდ ასწავლიან ბავშვებს მასწავლებლები. მაგრამ, როდესაც აქ ლაპარაკ-

კობენ, რომ სამღვთო სჯული უნდა განდევნილი იყოს იმიტომ, რომ იქ არის ბევრი ისეთი შემცდარი ზნეობრივი კანონები, ან შემცდარი ცოდნა, რომელიც არ უნდა მიეცეთ ბავშვს, ჯერ უნდა დაადგინოთ ამის სამაგიეროდ და უნდა მიაწოდოთ ბავშვს. და სწორედ მემარჯვენე ორატორმა, რომელიც არ მოეწონა მომხსენებელს, სწორედ იმან სთქვა, რომ თუ განდევნილ სამღვთო სჯულს უნდა მისცეთ რამე სამაგიერო, შექმნათ რალაცა ისეთი საგანი, ისეთი სწავლა, რომელიც აღწაზლავს იმ ცარიელ ადგილს, რომელიც შეიქმნება სამღვთო სჯულის განდევნის გამო. რადგან პირველ მუხლში ნათქვამი არის, რომ ყველა სასწავლებლიდან არის განდევნილი სამღვთო სჯულის სწავლა და არ არის ნათქვამი, თუ რა რჩება იმის მაგიერად. თქვენ ერთი ხელის მოსმით სკოლიდან სდევნილ ზნეობრივ წესების სწავლას.

აქ ერთი კომპრომისი ვგვხვდება შემდეგ მუხლში, მაგრამ ისეთი კომპრომისი, რომელიც არავითარ შეღავათს ამ პირველ მუხლს არ აძლევს. როდესაც თქვენ სკოლიდან სდევნილ სამღვთო სჯულს და შერე ამზობთ ეს იდეებება—როგორც სავალდებულო საგანი, მაგრამ ვისაც უნდა, მშობლებს, ან სხვებს, ჩვენ ნებას ვაძლევთ, რომ ასწავლონ სამღვთო სჯული, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას. უნდა ვსთქვათ, რომ ეს ისეთი მუხლია, რომელიც სრულებითაც არ უშეულის, არც სამღვთო სჯულის სწავლებას, არც ზნეობრივი კანონების შეთვისებას. თუ კი თქვენ არ მისცემთ საშუალებას მორწმუნეთ, ან, საზოგადოდ, მშობლებს თავის ბავშვებს ასწავლონ სკოლაში სამღვთო სჯული და ამისთვის სახელმწიფო არ გაუწევს ერთგვარ დახმარებას, მაშინ, არავითარი საშუალება არ ექცეებათ იმათ, ვისაც სამღვთო სჯულის სწავლა უნდა ეს სამღვთო სჯული ასწავლოს; ეს უბრალო თვალთმაქცობა არის და ამ გზით ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ საწადელს, რომ მოვსპოთ სარწმუნოების სწავლება სკოლებში. საქმე იმაში გახლავთ, რომ, როდესაც თქვენ ამზობთ, პრინციპიალურად არაფერი საწინააღმდეგო სარწმუნოებისა და სამღვთო სჯულის სწავლისა არა გვაქვს, მაგრამ ამის საშუალებას კი არ აძლევთ მსურველთ ამით ამტკიცებთ, რომ თქვენ პრინციპიალურად და პრაქტიკულად ამის წინააღმდეგი ხართ. და ამას თქვენ ჩადიხართ არა ყველა სარწმუნოების მიმართ, რომლებსაც თქვენ სთვლით მანვენდ, არამედ მართო მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოების მიმართ. ამავე კანონპროექტში თქვენ დიდ შეღავათს აძლევთ მიჰმადიანთა სარწმუნოებას.

და იმ სარწმუნოებაზე, რომელსაც თქვენ პრინციპიალურათ მანვენთ სთვლით, მაინც ამზობთ, რომ სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება მასო და ამავე დროს ქრისტიანულ სარწმუნოებას ამისთანა შეღავათს არ აძლევთ. ამაზედ თვით სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამაც კი გამოსთქვა თავის აზრი, რომ ეს სრულიად არ შეეფერება მათ შეხედულებას. მაგრამ რა მდგომარეობაში ჩავარდებიან შეგირდები, ან მშობლები და საზოგადოდ მთელი ქრისტიანობა საქართველოში, რომელიც დაისახავს აშკარად, რომ მაჰმადიანებს ჩვენი დღევანდელი მთავრობა, სოციალისტური მთავრობა, უწევს დახმარებას და მფარველობას, და იმავე დროს კი სდევნის ქრისტიანობას, რასაკვირველია, თუ ლოლიკური მსჯელობის უნარი აქვს ჩვენ ხალხს, ის იმდასკენამდის მივა, რომ მაჰმადიანობა უკეთესი არის, მაჰმადიანთა ზნეობა და სარწმუნოება უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ქრისტიანობა. არ ვიცი, შესაძლებელია, დღევანდელ მთავრობას და მომხსენებელს, რომელიც მემარჯვენეს უსაყვედურებს, რომ არც პედაგოგია, არც სარწმუნოება და არც არაფერი გემაითო. იქნება თვითონ მეტი ეს მოდგო, მაგრამ არ შეიძლება ავჯიხსნან სად ამოიკითხვს: პედაგოგიურ ან სარ-

წმუნობებრივ შეტყობებაში, თუ ფილოსოფიაში, რომ ქრისტიანობა იმდენათ დაბლა სდვას მაჰმადიანობაზე, რომ ქრისტიანობის განდევნა შეიძლება და ჩამადიანობას კი მფარველობა უნდა გაეწიოსო.

ამიტომ ეს პირველი მუხლი იმ სახით, რომლითაც აქ არის წარმოდგენილი ყოველად მიუღებელია. პირველი მუხლი უნდა უყოს შეცვლილი იმგვარად, რომ ნათელი იყოს ყველასთვის, რომ სარწმუნოება, რომელიც მყარდება პედაგოგიაში, სკოლების სფეროში, როგორც სწავლება სამღვთო-სჯულისა უნდა ყოველთვის სხვა საგნებთან თანასწორად ისწავლებოდეს, და ვიდრე საბოლოოთ არ იქნება გადაწყვეტილი საკითხი სარწმუნოების მცნებათა სკოლებში დატოვება განდევნის შედეგებზე, მანამდის სამღვთო-სჯულის სწავლება უნდა დარჩეს სკოლაში იმ სახით მაინც, რომ არც სახელმწიფოს და არც სკოლებს არ შეეძლოთ ამ ნაწილს უარყოფა, რომელიც თუნდაც ზნეობრივ კანონებს შეიცავს. და როდესაც მომხსენებელი ამბობს იმას, რომ ჩვენივენი შეუძლებელი არის შეუდგეთ სამღვთო-სჯულის სხა და სხვა ნაწილების განხილვას, რადგანაც დავინახავთ, რომ აქ დასატოვებელი არაფერი არისო, მე შევიტანდი ისეთ შესწორებას, რომ ეს მუხლი სრულიად ამოშლილ-იყოს და ამის მაგიერ იყოს ისეთი მუხლი შეტანილი, რომ სამღვთო-სჯულის მთელი შინაარსი ზნეობრივ და სარწმუნობებრივ მხრივ, ჯერ-ჯერობით იყოს შესწავლილი; თუ ეს ასე არ მოხდა ეს ჩვეულებრივი ძალადობა განოვდა და ის, რაც უმრავლესობას სურს, რასაკვირველია, გაიყვანოს კიდევაც. მაგრამ ეს რაც პედაგოგისა, არც სარწმუნოებას არც საერთოდ ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას და თვისებას არ შეეფერება. ჩვენ ხალხს არავინ არ ეკითხება ეს აშკარაა თავიდან.

რომ სარწმუნოება ისეთი ცნობაა, რომლის განდევნა სკოლიდან ყოველად მიუღებელი არის, ამის მაგალითების ჩამოვლა სრულიად ნაკირო არ არის, ამის მაგალითებს ჩვენ ყოველდღე ვხედავთ. ჩვენი მემარცხენე ფრაქციები და პარტიები ამტკიცებენ ამას იმით, რომ ყოველ ნაბიჯზე ამ სარწმუნოების მქადაგებლებს, ამ სარწმუნოების მოციქულებს მიმართავენ ხოლმე ყოველგვარ თავის შინაურ ცხოვრების კანონების შესრულების (დროს ხმა: განსვენების დროს). განსვენების დროს ხომ თავის თავად ცხადია, მაგრამ აი უბრალო მაგალითს მოგიყვანთ დღევანდელი სკოლიდან: თქვენ იმ სკოლიდან უნდა განდევნოთ სამღვთო სჯული, სადაც თქვენ არ შეგიძლიანთ მიიყვანოთ და ასწავლოთ ბავშვს თუ იმას არა აქვს მეტრიკა. (ლომთათიძე: გთხოვთ პირველ მუხლზე ილაპარაკოთ. ობსტრუქციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს). თქვენ არ შეგიძლიანთ სასწავლებლებში შეიყვანოთ ბავშვი თუ არ გაქვთ ეს, დაწყველილი, სარწმუნოების მოციქულის, სარწმუნოების მქადაგებლის მღვდლის მოწმობა. მე თითონ მქონდა შემთევვა, ჩემმა ნაცნობმა მიმართა სკოლის მმართველობას და არ მიიღეს ბავშვი მხოლოდ იმიტომ, რომ არ ჰქონდა მღვდლის მიცემული მეტრიკა.

და აი ასეთ არანორმალური პირობები გინდათ შექმნათ. თუ თქვენ ლოლიკას მისდევთ ბოლომდის, უნდა ჩააყენოთ ჯერ სწავლა ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც თქვენ თვითონ ემყარებით.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკლეთიკის პარლამენტის წევრს ალექსანდრე ახმეტელს.

**ალექსანდრე ახმეტელი.** (რ.-დ.) რადიკალ-დემოკრატიული ფრაქცია მხარს უჭერს კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტს. მხარს უჭერს არა იმიტომ, რომ სამღვთო სჯულის სწავლა სკოლაში სოციალიზმის მოძრაობას აფერხებს, როგორც დოგმატიზმის გამოშატველი. პირიქით, მე სიტყვა ქრისტიანობაში, მისი

დოკმატიზმი ფსიხოლოგიურად ისე ზრდის ადამიანს, რომ მისთვის პირდაპირ აუცილებელი ხდება, რომ ეს კოლექტიური მოძრაობა შეითავისოს.

ჩვენ მხარს უჭერთ ამ კანონ-პროექტს ერთას მისაზრებით. ჯერ ერთი მართლა გეწამს სინიდისის თავისუფლება და ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერასოდეს ვერ შეურიგდებით, რომ ვინმემ ხელი აფათუროს სინიდისის საკითხში. მეორე ყველა სარწმუნოება, რაც სარწმუნოება უნდა იყოს, ერთად ერთი გარკვეული მიზანი აქვს, და მან უნდა დაუმტკიცოს ადამიანს, რომ იგი არის სუსტი, უძლური პიროვნება, რომ მის გარეშე არსებობს ის ძალა, რომლის წინაშე ის მუდამ უნდა იყოს ხელ გაწვდენილი და მუდამ თხოვნით აღმართული მის წინაშე. აი ასეთ პსიხოლოგიურ მომენტს, ასეთ შიშით შექმნილ მომენტს, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიზიარებთ. მაგრამ იმავე დროს ჩვენ გეწამს, რომ რაიმე ძალა არსებობს.

ყოველ შემთხვევაში სრულიად მიუღებელია პირველი მუხლი. პირველ მუხლში წარმოდგენილ კანონ-პროექტისა არის ნათქვამი, რომ ყოველ ტიპის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლებში გაუქმდეს სამღმთო სჯულის მასწავლებლების თანამდებობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ თავის სასწავლებლებში უსაბუთოდ უნდა აუკრძალოს კატეგორიულად ამ სამღმთო სჯულის მასწავლება, ხოლო რაც შეეხება კერძო სასწავლებლებს უნდა იყოს განმარტებითი მუხლი, სადაც ნათქვამი უნდა იყოს სამღმთო სჯულის მასწავლება სავალდებულო არ არის, მაგრამ შეუძლიანად მშობლებს თავის შვილებს კერძოდ ასწავლონ. მე ვფიქრობ, რომ კერძო სასწავლებლისთვის ეს აღნიშნული უნდა იყოს.

**ნოე ცინცაძე** (ს. დ.). წინადადება ბ. ფალავასი ჩვენი ფრაქციის აზრით მიუღებელია. აი რატომ. საკმე იმაშია, რომ სასწავლებლებში არის არა-სავალდებულო საგნები, როგორც გიმნასტისკა, ვალობა და ამ საგნების ხარჯს სახელმწიფო იღებს, აი თუ გინდათ იმ სპეციალურ თანხებიდან, რომელიც აქვს სასწავლებლებს. და ამიტომ თავის თავად ცხადი, ამ შემთხვევაში ეს წინადადება მიუღებელია, რადგანაც ძირითად ეწინააღმდეგება ამ კანონ-პროექტს.

ამ მხრივ მე მგონი არავითარი წინააღმდეგობა კანონ პროექტში არ არის ის მუხლი, რომელიც ამოიბს, რომ მშობლებს ეძლევათ ნება სკოლის შენობით ისარგებლონ, სრულებით არ ეწინააღმდეგება I მუხლს, რადგან ჩვენ ესპობთ სამღმთო სჯულის მასწავლებას მხოლოდ როგორც სავალდებულო საგნის მასწავლებას. იგი რჩება არა სავალდებულო საგნად და ვინაც უსურს, რომ არა სავალდებულო საგანი ისწავლოს ჩვენ ვაძლევთ ამის საშუალებას მეოთხე მუხლში. ამ მხრივ წინააღმდეგობა არ არის კანონ-პროექტში.

რაც შეეხება იმ წინადადებას, რომელიც დამოუკიდებელ ფრაქციის სახელით წარმოადგინა ბ. გაბაშვილმა, ამის შესახებ უნდა მოვახსენოთ, რომ მოწოდების შეტანა პროგრამაში, ეს პროგრამის და სამოსწავლის გეგმის საგანი არის. არის ქვეყნები, მაგალითად საფრანგეთი, სადაც უმაღლეს კლასებში არის ისეთი საგანი როგორც მორალის მასწავლება, მაგრამ არის ისეთი სასწავლებლები, მაგალითად შეერთებულ შტატებში და თვით ზოგიერთ ბრიტანის კალონიებში, სადაც სკოლაში არ შედის თვით-სწავლა, — აღრზნის საქმე.

მთელი სისტემა სკოლისა უნდა იყო გამსჭვალული ზნეობრივის მხრივ, ყველა ეს თავის თავად უნდა ხდებოდეს და არა ისე, როგორც გაბაშვილს წარმოუდგენია მას წარმოადგენილი, აქვს თითქოს ჩვენ ვებრძვიტ ქრისტიანობას, როგორც მან გამოაცხადა. პირიქით ჩვენ ამ კანონ პროექტით შემთხვევას გიძლევთ, თუ შეგიძლიანთ რასაკვირველია, შექმნათ ისეთი რელიგიული მოძრაო-



ბა, რომელზედაც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ უნიადაგოდ დარჩებით.

**თავმჯდომარე.** პირველი მუხლის შესახებ წინადადება შემოტანილი რომ შესწყდეს კამათი. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

**ლეო ნათაძე.** მეც წინააღმდეგი ვახლავართ იმისა, რომ ამ მუხლში შეტანილი იქნეს სიტყვა სავალდებულო, როგორც ფლავიმ ბრძანა. ის ბატონებო, თითონ მასწავლებელია და მოცხსენება თუ რა არის არა სავალდებულო საგანი, ის კი არ არის, რომ ხაზინა არ გაიღებს ფულს მასწავლებლებისთვის, არამედ ისეთი საგანია რომელსაც ყველა შეგირდები არ სწავლობენ, მაგრამ პედაგოგიური საბჭო მასწავლებლებისა ყოველთვის ასე თუ ისე თვალყურს ადევნებს მასწავლებლებს, და პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელობით, მიღის ამ საგნის სწავლება.

ჩვენ უნდა გამოვადგინოთ სჯულის სწავლა, სასწავლებლების პროგრამიდან როგორც სავალდებულო, და როგორც არა სავალდებულო უნდა დავტოვოთ, ისე, რომ პედაგოგიურ საბჭოს ამ საგანთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს. ჩვენ გვინდა მივცეთ ისეთი ხასიათი სამღვთო სჯულის სწავლას, რომ ეს იყოს სულ მთლად კერძო სინდიკატის კერძო ხარჯის და ფულის საქმე. მხოლოდ ისეთმა ბავშვებმა უნდა ისწავლონ ეს საგანი, რომლის მშობლებიც ამას მოითხოვენ. არა სავალდებულოა, რომ შევიტანოთ, როგორც ცინცაძემაც სთქვა, ჯერ ერთი ხარჯების გაბოჭვება იქნება ხაზინის მხრივ, თუნდაც წესი არ იყოს, მაინც და მაინც ეს იქნება როგორც მუსიკის სწავლა, მაგალითად, პედაგოგიურ საბჭოს მიერ ხელმძღვანელობით; სამღვთო სჯულის სწავლებას ამ შემთხვევაში, პედაგოგიურ საბჭომ უნდა უხელმძღვანელოს, ეს კი გამოცალკევება ეკლესიისა და სკოლისა აღარ უქნება ეს იქნება მაინც და მაინც როგორც არა სავალდებულო საგანი დატოვებული სკოლაში.

რაც შეეხება გაბაშვილის წინადადებას, მე ამაზე მოგახსენებთ. ის მორალური სენტენციები, რომელიც შეტანილია ათ მცნებაში, და რომელიც გაბნეულია კიდევ უფრო ახალ აღთქმის მორალში სრულიად სამღვთო სჯულის სწავლებას არ შეეფერება. „ნუ მოკლამ“, „ნუ მოიპარამ“, რასაკვირველია ეს ბავშვმა ჩვენმა სამღვთო სჯულის საშუალებით არ უნდა ჩაინერგოს. ეს აზრი უკვე საერო სარწმუნოების სიტყვაა. დამეთანხმებით, სარწმუნოება, სენტენციამ კი არ წარმოშვა, არამედ ეს სამეცნიერო საზოგადოებრივ განვითარებამ წარმოშვა. როგორც სარწმუნოება, ისე ასეთი სენტენცია, და ამ სენტენციას მხოლოდ სარწმუნოების ბეჭედი დაუყვეს. ჩვენ სწორედ პირიქით, გვინდა სარწმუნოების ბეჭედი ჩამოვართოთ, რადგანაც ზნობა არ შეეფერება იმ ბეჭედს, რადგანაც სარწმუნოების ბეჭედი შეიძლება ზნობას უფრო ამდაბლებდეს. და როცა რვაზე გაბაშვილმა ილაპარაკა იმისთანა რამზე, რაც შეეხება უფრო ზნობაზე მსჯელობას, ვიდრე პირველ მუხლს. ამიტომ მე ამას არ გამოუდგები. ხოლო რაც შეეხება დატოვება იმისა, რაც ჩვენთვის საზოგადოებრივად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამაზე ჩვენ ვილაპარაკებთ მაშინ, როდესაც გვექნება მსჯელობა ცალკე პროგრამაზე და ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა საგნებს შევიტანთ პროგრამაში. მაშინ გაბაშვილი წამოდგება და იტყვის, „შევიტანოთ საშოსწავლო პროგრამაში, მაგალითად, მორალის სწავლა“. მაშინ ამ საგანზე ჩვენც გვექნება მსჯელობა. იქნება ზოგიერთმა ჩვენგან წინააღმდეგობა გაუწიოს, იქნება ზოგიერთნი დაეთანხმონ, გაბაშვილს, მაგრამ, აქ ამ საკითხში ეს სრულიად შესატანი არ გახლავთ,

**თავმჯდომარე.** ეხლა წავიკითხავთ შემოტანილ შესწორებას.



**მდივანი (კითხულობს)** პირველ მუხლის შესახებ: 1) სოციალისტ-რევოლუციონისტთა ფრაქციისაგან: „ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებელში მოისპოს სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლება და გაუქმდეს სამღვთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა“.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე შესწორება უარყოფილია.

**მდივანი (კითხულობს)** 2) დანოჟკ. ერ. დემოკ. რ. გაბაშვილის: „სამღვთო სჯულის სწავლება დარჩეს სკოლებში, ვიდრე ეკლესია გაშორდებოდეს სახელმწიფოს“.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? უარყოფილია.

**მდივანი (კითხულობს)** რად. დემოკრატიული ფრაქციის: „პირველ მუხლიდან ამოიშალოს: „კერძო უფლებიან სასწავლებლებში“.

**თავმჯდომარე.** ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა? ვინ არის წინააღმდეგი? წინადადება უარყოფილია.

მე კენჭს უყრი პირველ მუხლს. ვინ არის მომხრე ამ პირველ მუხლისა? ვინ არის წინააღმდეგი? პირველი მუხლი მიღებული გახლავით. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

**მომხსენებელი.** (კითხულობს მეორე მუხლს) 2. ხსენებულ სასწავლებლებში დაიხუროს კრედიტები, რომლებიც გახსნილი იყო სამღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირებისათვის.

**აკ. ფაღავა.** (ს.-ფ.) სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, ვითომ და პირველი მუხლი მიიღეს უფრო რადიკალურ რედაქციით. მაგრამ მე არ მგონია, რომ ეს სინამდვილეს შეეფერებოდეს, ვინაიდან შესაძლებელია შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ სამღვთო სჯულის სწავლება კერძო სასწავლებლებში სავალდებულოდ დარჩეს. ჩვენი წინადადებით კი შესაძლებლობა უარყოფილია. ჩვენი წინადადება უფრო რადიკალური იყო, ვიდრე სოციალ-დემოკრატის ფრაქციის, მაგრამ ეს უკვე გათავებული გახლავით.

რაც შეეხება მეორე მუხლს, აქ სარედაქციო ხასიათის შესწორება არის. ჩვენ იმ აზრს ვადვივართ, რომ საჭირო არის კანონში რაც შეიძლება ნათლად იყოს გამოთქმული უმთავრესი აზრი. ჩვენ გვაქვს შემდეგი შესწორება: (კითხულობს)

„სამღვთო სჯულის მასწავლებელთათვის არსებული სახაზინო კრედიტები დაიხუროს“.

**თავმჯდომარე.** ვის ჰსურს სიტყვა ამის შესახებ? ვინ არის მომხრე, რომ მეორე მუხლი იყოს ასე შესწორებული. (კითხულობს) სამღვთო სჯულის მასწავლებელთათვის არსებული სახაზინო კრედიტები დაიხუროს. — გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე, შესწორება უარყოფილია და მეორე მუხლი მიღებული. გთხოვთ წაიკითხოთ მესამე მუხლი.

**ნათამე (კითხულობს მესამე მუხლს)** 3. შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებლებს მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია სამქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის 5 ივლისს გამოცემულ კანონის მიხედვით.

**თავმჯდომარე.** ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? ვინ არის მომხრე, რომ ეს მუხლი მივიღოთ? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეოთხე მუხლი.

**ნათამე.** (კითხულობს) 4. მშობლებს, რომლებიც მოიხურებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ სამღვთო სჯული, ნება მიეცეთ სკოლის შერ-